# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 18 ივნისი 2003 №111 (1882) ფასი 50 თეთრი


## დევიდ ბექემი, რა თქმა უნდა, რეალს დარჩა

## პერესმა შექმნა სამყარო?



რატომღაც გვგონია, რომ „ბარსელონას“ პრეზიდენტობის ორგზის უიღბლო მაძიებელი ლუის ბასატი ახლა ზის და გულიანად იცინის. ეს სიმწრის სიცილია, უფრო სწორად კი, დაცინვა — აკი ამდენ ხანს ამტკიცებდა, ხუან ლაპორტა აფერისტია, ბექემის გადმოყვანის დაპირებით თავგზას გიბნევთო.

რას ერჩი, მართალი კაცი ყოფილა ბასატი: გუშინ დევიდ ბექემი მადრიდის „რეალში“ გადავიდა!

და სანამ ამ ცნობით მიღებული პირველი შთაბეჭდილება გაგინელდებათ, სწრაფად დავძინოთ: კონტრაქტი ოთხწლიანია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ 35 მილიონ ევროს მიიღებს, თავად ბექემის ხელფასი კი წელიწადში 6 მილიონი ევრო იქნება.

დევიდ ბექემი მადრიდში 1 ივლისს ჩავა და ეს ყველაფერი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ უკვე დაადასტურა.

აი, ფლორენტინო პერესი: 2000 — ლუიშ ფიგუ, 2001 — ზინედინ ზიდანი, 2002 — რონალდო, 2003 — დევიდ ბექემი. საკითხავი ისღა რჩება, რას დავწერთ გაისად: 2004 - ?

და ერთიც, რაულმა ჯერ კიდევ ბექემთან გარიგებამდე თქვა, 7-ნომრიანი მაისურის დამთმობი არ ვარო. ალბათ, ეგრეც იქნება — ბექემი დიდი ფეხბურთელია, მაგრამ არც ისეთი, მადრიდელთა კერპ რაულს ნალოლიავები მაისურა შეაწეროს.



## სხვები ლაპარაკობენ, პერესი აკეთებს








*გუშინ საქართველოში ახალი საფეხბურთო პირმშო, პროფესიული ლიგა დაიბადა. მართალია, მისი მომავალი სადღეისოდ მეტად ბუნდოვანია, არც განვითარების კონკრეტული გზები ჩანს და იქნებ ნაჩქარევი ნაბიჯიც იყოს, მაგრამ ფაქტი ერთია, პროფესიული ლიგის დამაარსებლებს თავიანთი პროექტისა დიდად ეიმედებათ და მტკიცედ სწამთ, რომ ქართული ფეხბურთი წინსვლისთვის აუცილებელ გზას დაადგება*



ლერი სულაბერიძე, მერაბ ჟორდანია და პროფესიული ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი

# PRO ლიგის კლუბებმა იდეა მოიწონეს, ლოგი მომავალი აწონ-დაწონეს

**უმაღლესი ლიგის** თერთმეტი კლუბის წარმომადგენელი, ფედერაციის თავკაცებთან და პროფესიული ლიგის მომავალ ხელმძღვანელებთან ერთად, თითქმის სამი საათის განმავლობაში ბჭობდა და კამათობდა. თავიდან კლუბების თავკაცები პროფესიული ლიგის წარმოდგენილ პროექტს ალმაცერად უყურებდნენ. ზოგი იმასაც ამბობდა, აშკარად მოუმზადებელი საკითხია, ბევრი რამ არის გასარკვევ-შესაჯერებელი და, ალბათ, შეთანხმებას ვერ მოვახერხებთო.

წინასწარ თანხმობას მხოლოდ ფოთის „კოლხეთი" აცხადებდა, ვისი თავკაციც გუშინდელ თავყრილობას არ დასწრებია, მაგრამ ფედერაციაში გუშინწინ ყოფილა და დაუბარებია, პროფესიული ლიგის იდეას კოლხები სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთო.

მერე და მერე, გაწელილი სხდომის მსვლელობისას, იდეის ინიციატორებმა პრეზიდენტთა დაყოლიება-დარწმუნება მოახერხეს. ფეხბურთის ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზიდან გამოსული კლუბების თავკაცები მხოლოდ ერთ რამეში იყვნენ ერთსულოვანნი — პროექტის არსი ყველას მოსწონდა, თუმც მისი განხორციელების გზებს ცოტა ეჭვის თვალით უყურებდნენ.

გადაწყვეტილი ამბავია, მეთხუთმეტე ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ლიგა ერთობლივად ჩაატარებენ, ხოლო მეთექვსმეტე ჩემპიონატის პატრონი უკვე უშუალოდ ლიგა იქნება. ეს აზრი პრესკონფერენციაზე თავად ფედერაციის თავკაცმა მერაბ ჟორდანიამ გამოთქვა.

პროფესიული ლიგის ავანჩავანი ჩვენთვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა. მართალია, თავად იდეა პროგრესული და მისასალმებელია, მაგრამ სადღეისოდ არც ერთი კონკრეტული დეტალი არ დაზუსტებულა. ჩემპიონატის დაწყებამდე კი თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი და ვინძლო ყველაფერი სათანადო დონეზე ვერ მომზადდეს.

პროფესიული ლიგის თავკაცის, „ტორპედოს" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის დიმიტრი რამიშვილის თქმით, უკვე არსებობს წინასწარი, ზეპირი შეთანხმებები სპონსორებთან და დღეიდან კონკრეტული მოლაპარაკებებიც დაიწყება.

გუშინ ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ლიგის მომავალი სპონსორების ვინაობაც გაცხადდა — „კოკაკოლა", „ყაზბეგი", საქართველოს ბანკი, „მარსი", „სტიმოროლი", ტელეკომპანიები — „რუსთავი 2", „იმედი", „მეცხრე არხი", საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი და, ალბათ, „აჭარაც", რომლის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებების დაწყებას დიმიტრი რამიშვილი ამ დღეებში აპირებს.

მოკლედ, გუშინ პირმშო დაიბადა, რომელიც მთლიანობაში საღ-სალამათი კია, მაგრამ ჯერაც უღონო. ჯერჯერობით სამოსიც არა აქვს, თუმც მის პატრონობაზე მეტად გავლენიანი და ფულიანი ხალხი დებს თავს. ახალშობილს დიდი მისია აკისრია, მან ეროვნული ჩემპიონატი თვისობრივად ახალ ეტაპზე უნდა აიყვანოს, გააძლიეროს და სანახაობრივი გახადოს. ეს კი ძალიან საძნელოა და სარისკო. საკითხავ-საჭოჭმანოც ეს არის, შეძლებს კი ჯერაც ფეხაუდგმელი ლიგა ამხელა ტვირთის ტარებას? უმჯობესია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ, პროფესიული ლიგის მესვეურებიც უფრო ჩამოყალიბდებიან და ალბათ, სულ მალე, კონკრეტულ პასუხებსაც შემოგვთავაზებენ.

გუშინდელი შეკრების შემდეგ რამდენიმე კლუბის პრეზიდენტმა და წარმომადგენელმა სახელდახელო კომენტარი გააკეთა, ზოგმა თავი შეიკავა, ჩემს პოზიციას მოგვიანებით გაახლებთო. ბოლოს კი ყველაფერი ფედერაციის თავკაც მერაბ ჟორდანიას, პროფესიული ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილისა და ამავე ლიგის ერთ-ერთ თავკაც ლერი სულაბერიძის ერთობლივი პრესკონფერენციით დასრულდა.

## პრესკონფერენცია

***მერაბ ჟორდანია, სფფ-ის პრეზიდენტი:*** მომწიფებული იყო ვითარება ახალი ნაბიჯების გადასადგმელად. ამდენი ხნის განმავლობაში, სამწუხაროდ, ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ბოლოს და ბოლოს ყველას გაეთვითცნობიერებინა — ჩემპიონატს ფედერაცია მარტო არ ატარებს და ეს ფედერაციის ჩემპიონატი არაა. თითოეულმა კლუბმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, ჩაებას საერთო საქმეში. საკუთარი კლუბის პირადი პრობლემა კი არ უნდა იყოს მათთვის მთავარი, არამედ ნებისმიერი, რომელიც ჩემპიონატში, ქართულ ფეხბურთში არსებობს. ანუ მუშაობდეს სოლიდარობის პრინციპი, რაც ფიფა-უეფას ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. ჩვენთვისაც უმთავრესი ეს დევიზი უნდა იყოს, საფეხბურთო ლიგის შექმნის მთავარი არსიც ამაშია. სამმა, ოთხმა ქართულმა კლუბმა თავისი დონით, შესაძლებლობით დანარჩენები დაჩრდილეს, მათ უნდა იცოდნენ, რომ თუ უნდათ, ქართული ფეხბურთი განვითარდეს, სხვა კლუბებსაც უნდა მიეცეთ განვითარების საშუალება.

თავიდან ბევრი კლუბის პოზიცია მისაღები არ იყო, ბოლომდე არ იცოდნენ, რისთვის იქმნება ეს პროფლიგა, რა არის მისი მთავარი მიზანი, მაგრამ დღეს ორსაათნახევრიანმა საქმიანმა შეკრებამ ყველა დაარწმუნა, რომ ლიგა საერთო საქმის კეთილდღეობისთვის კეთდება და არა რომელიმე პიროვნების პირადი ინტერესებისთვის.

აუცილებელია, პროფლიგამ დღეიდანვე დაიწყოს საქმიანობა. როცა კომერციულ კონტრაქტებზე მიდგება საქმე, აუცილებელია, თითოეული კლუბის ინტერესების გათვალისწინება და ეს კლუბი წინასწარ იყოს ინფორმირებული, რომ მერე რაიმე პრობლემებს არ წავაწყდეთ.

ამ სტრუქტურას უხელმძღვანელებს დიმიტრი რამიშვილი, ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი. მან ჩვენი თხოვნით გაწყვიტა ურთიერთობა ქუთაისელებთან, რადგან პროფლიგის პრეზიდენტი ნეიტრალური პირი უნდა იყოს და არა რომელიმე გუნდის წარმომადგენელი და მისი ინტერესების გამტარებელი. ყველა კლუბი მხარს უჭერს მის კანდიდატურას. გვქონდა წინასწარი საუბრები ქართველ ბიზნესმენებთან, კომპანიებთან. რამდენიმემ პირადი პოზიცია და ურთიერთთანამშრომლობის სურვილი უკვე დააფიქსირა. ერთი სიტყვით, რევოლუცია ნაღდად არ მომხდარა, იყო დამატებითი გზების მოძიების მცდელობა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

***დიმიტრი რამიშვილი, პროფლიგის პრეზიდენტი:*** საინიციატივო ჯგუფმა ფედერაციასთან და სპორტის დეპარტამენტთან შეთანხმების საფუძველზე პარლამენტში გააგზავნა წერილი, კანონმდებლობაში შეიტანონ შესწორება, მოგვეცეს უფლება, სტადიონებსა და სპორტულ თამაშებზე განვათავსოთ ალკოჰოლური სასმელების სარეკლამო ფირნიშები. პრიორიტეტი მიენიჭება ლუდს. ფეხბურთში და სპორტის სხვა სახეობებში ლუდის კომპანიები ერთ-ერთ ძირითად სპონსორებად ითვლებიან. მაგალითად, რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი სპონსორი ლუდის კომპანია „ბალტიკაა", ჩემპიონთა ლიგას კი სულაც „ამსტელი" აფინანსებს. კარგი იქნება, სიგარეტის ბიზნესში ჩართულ კომპანიებსაც თუ მოვიზიდავთ. იმედი გვაქვს, რომ პარლამენტში ჩვენს თხოვნას გაგებით მოეკიდებიან. პროფლიგის შექმნა ფედერაციისგან დამოუკიდებლობას და მისგან გამიჯვნას არ ისახავს მიზნად. ლიგის შექმნის არსი ისაა, რომ საქართველოში ფეხბურთის ოჯახი შეიქმნას.

***ლევან ყიფიანი, „ლოკომოტივი":***

— პროფესიული ლიგის იდეა ყველამ მოიწონა და ეს ჩვენი ფეხბურთისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ჩვენ არ გვისაუბრია ეკონომიურ მხარეებზე, თუმც ამ მხრივაც გაგვაჩნია გარკვეული შედეგი. მართალია, დოკუმენტაცია მოსაწესრიგებელია, დასაწყებია კონკრეტული მოლაპარაკებები, მაგრამ მთავარია, ლიგამ ფუნქციონირება დაიწყოს და გზადაგზა ყველაფერი გამოსწორდება.

***თემურ ბეკანიძე, „ბათუმი":***

კონკრეტულად არაფერი გადაწყვეტილა, თუმც შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ პროფესიული საფეხბურთო ლიგა უკვე შეიქმნა. წინააღმდეგი, ცხადია, არ ვყოფილვართ, მაგრამ ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, მოახლოებული მე-15 ეროვნული ჩემპიონატი ჯერ მაინც ფედერაციას ჩაეტარებინა. განვიხილეთ ზოგი ისეთი საკითხი, რომელიც უფრო დაზუსტებას მოითხოვს. ნაუცბათევი გადაწყვეტილების მიღება არ ივარგებს. ლიგა თუ დაიწყებს ფუნქციონირებას, საქმიანობა ბოლომდე უნდა გააგრძელოს, ექსპერიმენტები და მერე შუა გზაზე გაჩერება საერთო საქმეს არ წაადგება და პრობლემები შეიქმნება. ერთი სიტყვით, ორ-სამ დღეში ჩვენს წინადადებას წერილობით წარმოვადგენთ.

***ზურაბ ჯაფარიძე, „სიონი":***

პროფესიული საფეხბურთო ლიგის შექმნის იდეას მივესალმები. კარგია, თუმც რაღაც დეტალები დასაზუსტებელია. კამათის დროს წარმოიშვა გაუთვალისწინებელი მომენტები, იყო ბევრი გაურკვეველი აზრი. კარგი იქნებოდა, თუ ყველაფერი დაიხვეწებოდა და პროფესიული ლიგა მერე შეიქმნებოდა. ფაქტია, სეზონის დაწყებამდე ეს არ მოესწრება. ორ დღეში წერილობით უნდა წარმოვადგინოთ, თანახმა ვართ თუ წინააღმდეგი. ლიგა აქამდეც იყო შესაქმნელი და ფუნქციონირებაც უნდა დაეწყო, მაგრამ ასეთ ვითარებაში წინააღმდეგი ვარ. ეს ნაჩქარევად არ უნდა მოხდეს, ცალკეული დეტალები აუცილებლად დასახვეწი და დასაზუსტებელია.

***დავით პეტრიაშვილი, „დინამო":***

ეს ჩვენი მეორე შეხვედრა გახლდათ. აზრი და იდეა რამდენიმე თვის წინ დაიბადა და მას ყველა კლუბი მიესალმა. იყო საუბარი სპონსორების მოზიდვის თაობაზე, იმაზეც, მატერიალურად რა სარგებლობის მოტანა შეუძლია კლუბებისთვის და თვითონ რას მოითხოვენ. პროფესიული საფეხბურთო ლიგა, ეს არის კლუბების ნებაყოფლობითი გაერთიანება, თუმც ჯერ ბევრი რამ გაურკვეველია. კლუბების მზადყოფნა იმას მოწმობს, რომ ლიგამ ფუნქციონირება წლეულსვე დაიწყოს. პოტენციურმა სპონსორებმა თავიანთი სურვილი და მზადყოფნა დაადასტურეს, ახლა კონკრეტულად არის დასალაპარაკებელი და მერე ეს ყოველივე იურიდიულად გასაფორმებელ-დასასაბუთებელი. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა და სტრუქტურა იგივე იქნება. გუნდების ხარჯთაღრიცხვაც იგივე ეგაა, არის შესაძლებლობა, რომ კლუბებს დაუგეგმავი შემოსავლის წყაროც გაუჩნდეთ. ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ ერთი ასეთი საქმიანი შეკრება აუცილებელია. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. შეიძლებოდა, უფრო მეტისთვისაც მიგვეღწია, მაგრამ ამ ეტაპზე ესეც რომ მოვახერხეთ, კარგია.

**მამუკა ძგანტალიანი**
**გიორგი გაზაძიძე**
**ბადრი ძეთილაძის** *ფოტოები*



„ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ კომენტარისგან თავი შეიკავა



ლევან ყიფიანი



დავით პეტრიაშვილი



ზურაბ ჯაფარიძე

## შვედეთი

X ტური

**მალმიო 2:1 ჰალმსტადი**

## უეფას თასი. 2003–2004
UEFA CUP
საკვალიფიკაციო ეტაპი
UEFA CUP

# ბოლნისი ევროპას ელის
## აღაფანოზამ შეიძლება სიმენი ნახოს

**ზეგინდელ დღეს** გულისფანცქალით ელიან პატარა ბოლნისში. პარასკევს შვეიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის კენჭისყრაა და ევროტურნირებზე ქართველთა გუნდების მეტოქეთა ვინაობაც გაცხადდება.

საუეფასთასო ჩამონათვალში სულ 120 გუნდია, აქედან 82 საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს ბრძოლას. მათ შორის არიან ქართული გუნდებიც. საკვალიფიკაციო ეტაპიდან დამწყებნი უეფას რეიტინგის მიხედვით ჰყავს დალაგებული. ერთნაირი — 2, 833 კოეფიციენტით „ტორპედო" და „სიონი" 44-ე-45-ე ადგილებს იყოფენ.

პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 41 წყვილი შედგება. განთესვა მარტივია, სარეიტინგო ცხრილის პირველ ნაწილში მყოფთა მეტოქეები 42-ე-82-ე ადგილებზე მყოფთა შორის იქნებიან საძიებელი. ამის გათვალისწინებით, „სიონი" და „ტორპედო" ერთმანეთს, „სარაევოს", „ნისტრუს", ჩვენთვის ავად სახსენებელ „ბირკირკარას", ლიტვის, ისლანდიის, ორივე ირლანდიისა და სხვა უსახელო გუნდების მეტოქეობას ასცდებიან, მაგრამ, ბუნებრივია, უფრო დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ, რაკილა სარეიტინგო ცხრილის ზედა ნაწილში გაცილებით სოლიდური გუნდები არიან თავმოყრილნი. სახელიანთაგან „ლანსი", „სპორტინგი", „მანჩესტერ სიტი", „ცრვენა ზვეზდა", „ლოკერენი" და „სტიაუა" ვახსენოთ.

ასეთი სიტუაციაა კენჭისყრის წინ, თუმც სავარაუდო მეტოქის შესაძლებლობები ამ ეტაპზე ბოლნისელთათვის მეორეხარისხოვანია. გუნდისთვის მთავარი უეფას თასზე გასვლა და ოფიციალურ ევრომატჩში მონაწილეობა უფროა. ცხადია, წარუმატებლობისთვის არავინ დაძრახავს ევროსარბიელზე გამოუცდელ ქვემოქართლელებს.

ბოლნისელების საზრუნავი დღეს შინაური სარბიელის მოწესრიგებაა. უკვე ვწერდით, რომ „სიონს" „თემურ სტეფანიაზე" განუზრახავს თამაში, საამისოდ კი უეფას ძირითადი მოთხოვნები აქვს დასაკმაყოფილებელი, რაც პირველ რიგში სტადიონის საერთაშორისო სტანდარტებამდე მიახლოებას ითვალისწინებს.

კლუბის მესვეურებს შეეძლოთ, თავი არ აეტკივებინათ და საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის სამასპინძლოდ რომელიმე დედაქალაქური სტადიონი აერჩიათ, მაგრამ ბოლნისელებმა საკუთარ ქომაგს სცეს პატივი და ხარჯს არ შეუშინდნენ.

ბოლნისის გამგებელ ზურაბ ჯაფარიძის გადაწყვეტილებით, სტადიონზე სარემონტო სამუშაოები დაიწყო, „თემურ სტეფანიაზე" კიდევ ორი ტრიბუნა გაეწყობა. გაკეთდება სტადიონზე მისადგომი გზა, მოწესრიგდება საშხაპე და გასახდელები, სტუმართათვის განკუთვნილი ლოჟა, პარალელურად აგრონომები მინდვრის საფარის ხარისხზეც იზრუნებენ. ბოლნისში ისეთი ტემპით შეუდგნენ საქმეს, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე ყველაფერი უნდა მოასწრონ, მაგრამ, მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ჯერაც საკითხავია, თუ სად უმასპინძლებს „სიონი" მეტოქეს (იქნებ მეტოქეებსაც). თუმცა, ყველაფერი მაინც უეფას გადასაწყვეტია, თუკი ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ემისრებმა ბოლნისელთა ნახელავი მოიწონეს, სიონელთა სურვილს წინ ვერაფერი დაუდგება.

უეფას წარმომადგენელთა ბოლნისში ვიზიტის ზუსტი თარიღი ამ კვირაში გაირკვევა.

**პაატა ქვანტალიანი**



ლონდონს გამოთხოვებულ და მანჩესტერში წასულ დევიდ სიმენს შესაძლოა ბოლნისშიც დაუცდეს ფეხი

### საკვალიფიკაციო ეტაპის მონაწილენი

| | | |
|---|---|---|
| ლანსი | (საფრანგეთი) | 53,734 |
| სპორტინგი | (პორტუგალია) | 32,791 |
| ჰ. თელ ავივი | (ისრაელი) | 29,999 |
| მანჩესტერ სიტი | (ინგლისი) | 29,170 |
| მაკაბი ჰაიფა | (ისრაელი) | 25,999 |
| ცრვენა ზვეზდა | (სერბეთი) | 22,915 |
| ვარტექსი | (ხორვატია) | 22,312 |
| ლევსკი | (ბულგარეთი) | 18,332 |
| ჰართსი | (შოტლანდია) | 18,187 |
| ჟიჟკოვი | (ჩეხეთი) | 16,975 |
| ლიტექსი | (ბულგარეთი) | 16,332 |
| სტიაუა | (რუმინეთი) | 15,478 |
| ლოკერენი | (ბელგია) | 14,250 |
| მიოლდე | (ნორვეგია) | 13,787 |
| ჰაიდუკი | (ხორვატია) | 13,312 |
| ქსამაქსი | (შვეიცარია) | 13,125 |
| იანგ ბოისი | (შვეიცარია) | 13,125 |
| აიკ | (შვედეთი) | 12,795 |
| ფერენცვაროში | (უნგრეთი) | 12,395 |
| ზალცბურგი | (ავსტრია) | 11,687 |
| ტორპედო მოსკოვი | (რუსეთი) | 11,520 |
| სარტიდი | (სერბეთი) | 10,915 |
| ვისლა | (პოლონეთი) | 10,812 |
| კატოვიცე | (პოლონეთი) | 10,812 |
| გროცლინი | (პოლონეთი) | 10,812 |
| დებრეცენი | (უნგრეთი) | 10,395 |
| ლინი | (ნორვეგია) | 9,787 |
| კამენ ინგრადი | (სლოვაკეთი) | 9,312 |
| ანართოსისი | (კვიპროსი) | 9,082 |
| მალმიო | (შვედეთი) | 8,795 |
| დინამო ბუქარესტი | (რუმინეთი) | 8,478 |
| აპოელი | (კვიპროსი) | 8,082 |
| პუხოვი | (სლოვაკეთი) | 7,832 |
| ოლიმპია | (სლოვენია) | 7,666 |
| პუბლიკუმი | (სლოვენია) | 4,666 |
| უკრაინა | – | 1 გუნდი |
| დანია | – | 4 გუნდი |
| სლოვაკეთი | – | 1 გუნდი |
| ჰაკა | (ფინეთი) | 4,604 |
| მეტალურგსი | (ლატვია) | 4,332 |
| ზიმბრუ | (მოლდოვა) | 3,916 |
| მიუპა | (ფინეთი) | 3,604 |
| ვენტსპილსი | (ლატვია) | 3,332 |
| ჟელეზნიჩარი | (ბოსნია) | 3,166 |
| სარაევო | (სერბეთი) | 3,166 |
| ნისტრუ | (მოლდოვა) | 2,916 |
| სიონი | (საქართველო) | 2,833 |
| ტორპედო ქუთაისი | (საქართველო) | 2,833 |
| ბირკირკარა | (მალტა) | 2,499 |
| ატლანტასი | (ლიტვა) | 1,999 |
| აკრანესი | (ლიტვა) | 1,999 |
| გრინდავიკი | (ისლანდია) | 1,749 |
| ფილკირი | (ისლანდია) | 1,749 |
| ცემენტარნიცა | (მაკედონია) | 1,748 |
| ბელასიცა | (მაკედონია) | 1,748 |
| დინამო მინსკი | (ბელარუსი) | 1,708 |
| ნემანი | (ბელარუსი) | 1,708 |
| დერი სიტი | (ირლანდია) | 1,665 |
| შელბურნი | (ირლანდია) | 1,665 |
| ლა ვალეტა | (მალტა) | 1,499 |
| მიკა | (სომხეთი) | 1,082 |
| შირაქი | (სომხეთი) | 1,082 |
| ქუიმბრან თაუნი | (უელსი) | 1,082 |
| ლანსანტფრეიდი | (უელსი) | 1,082 |
| ვადუცი | (ლიხტენშტაინი) | 1,000 |
| ვლაჟნია | (ალბანეთი) | 0,915 |
| დინამო ტირანა | (ალბანეთი) | 0,915 |
| ლევადია | (ესტონეთი) | 0,832 |
| ტვმკ | (ესტონეთი) | 0,832 |
| კოლრეინი | (ჩრდ. ირლანდია) | 0,749 |
| პორტდაუნი | (ჩრდ. ირლანდია) | 0,749 |
| დუდელანჟი | (ლუქსემბურგი) | 0,666 |
| ეტცელა | (ლუქსემბურგი) | 0,666 |
| კლაკსვიკარი | (ფარერები) | 0,582 |
| რუნავიკი | (ფარერები) | 0,582 |
| ატირაუ | (ყაზახეთი) | 0,225 |
| ჟენისი | (ყაზახეთი) | 0,225 |
| დომანანო | (სან მარინო) | 0,000 |
| სანტა კოლომა | (ანდორა) | 0,000 |



# ძოძუაშვილმა ჩხაიძეს, არაო!

**გუშინ** რევაზ ძოძუაშვილი და თბილისის „ლოკომოტივის" პრეზიდენტი, რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე ერთხელაც შეხვდნენ ერთმანეთს და... ვერ შეთანხმდნენ. რევაზ ძოძუაშვილს „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობის შეთავაზებული პირობები არ მოეწონა და გუშინვე მოსკოვში გაფრინდა.

როგორც რევაზ ძოძუაშვილის ოჯახში გვითხრეს, მას მობეზრებია უამბიციო კლუბებში ხანმოკლე საქმიანობა და რკინიგზელებს ამიტომაც უთხრა უარი. ახლა იგი დასვენებას აპირებს, მერე კი ალბათ წინადადებებსაც განიხილავს.

ერთი სიტყვით, რკინიგზელებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და ძველი-ახალი მწვრთნელის დაყოლიება ამჯერად ვერ შეძლეს.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ძოძუაშვილის ყოფილი შეგირდი ზურაბ მენთეშაშვილი, შესაძლოა, ახალ კლუბში გადავიდეს. ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" ქართველ ნახევარმცველს ერთ-ერთმა მოსკოვურმა კლუბმა დაადგა თვალი. მენთეშაშვილის გუნდი დღეს სწორედ რუსეთის დედაქალაქში იქაურ „ტორპედოს" ეთამაშება. დიდი შანსია, ზურას ბედიც მატჩის შემდეგ გადაწყდეს. რუსეთში კი სატრანსფერო ფანჯარა 24 ივნისს იხსნება. მეორე ქართველი ალანიელის, მიხეილ აშვეთიას მომავალი გუნდიც ამ დროისთვის გაირკვევა.

**კობა ინასარიძე**

# იაშვილი და ორი კონტრაქტი
## არჩევანი სანდროზეა

**საქართველოს** ცხრამეტწლამდელთა ნაკრების ფორვარდი სანდრო იაშვილი, ვინც მეთოთხმეტე ჩემპიონატი „დინამო 2"-ში ჩაამთავრა, არჩევნის წინაშე დგას. სადღეისოდ მისი მსურველი ორი, ერთი ქართული და ერთიც უკრაინული კლუბია და ახლა ბოლო სიტყვა თავად სანდრომ უნდა თქვას.

ახალგაზრდა ფორვადი „დინამოს" თავკაც ივო შუშაკს ძალიან ესიმპათიურება, მისი სათამაშო სტილიც მოსწონს და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებს. იაშვილს „დინამოსთან" მოკლევადიანი ხელშეკრულების ვადა მაისის ბოლოს ამოეწურა. ხელახალი მოლაპარაკებები კარგა ხანია მიმდინარეობს და საბოლოო შეთანხმებაც თითქმის მიღწეულია.

მაგრამ იაშვილის გადაბირებას უკრაინული „არსენალიც" ცდილობს. იქაურთა თავკაც გროზნის ქართველი ფორვარდის გოლები სანაკრებო მატჩებისას უნახავს და დღემდე ჩვენებურთან საქმის გაჩარხვას ლამობს.

იაშვილი კიევიდან სამი დღის წინ დაბრუნდა, სადაც გროზნის მიწვევით იმყოფებოდა. სანდრომ „არსენალთან" ერთად რამდენჯერმე ივარჯიშა. ერთ-ერთი წვრთნისას თავში მეტოქის იდაყვი მოხვდა და თბილისში სამი ნაკერით დაბრუნდა. იმ ვარჯიშების შემდეგ გროზნიმ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო — „ქართველი ფორვარდის სიძლიერეში საბოლოოდ დავრწმუნდი, იაშვილი ჩემი გუნდის თავდასხმას გააძლიერებს. მას არანაირი გასინჯვა არ სჭირდება, კიევში 26 ივნისს ველი და წინ კონტრაქტსაც დავუდებ".



სანდრო იაშვილი

გროზნის ერთი ქართველი თავდამსხმელი, შალვა აფხაზავა კი ჰყავს, მაგრამ ახლა მეორეც შეუგულებია. თუმც დიდი შანსია, სანდრომ კიევში გამგზავრება გადაიფიქროს და ისევ დინამოელი გახდეს. მას „დინამოსთან" სიტყვა უთქვამს და მის გატეხვასაც არ აპირებს. მით უმეტეს, როცა ჩემპიონი კლუბიც ახალ კონტრაქტს სთავაზობს და ეს „დინამოს" წარმომადგენლებმა აღრეც დაგვიდასტურეს.

მაშ, „არსენალი" თუ „დინამო"? კიევი თუ თბილისი? ალბათ „დინამო" და ეს ამბავიც ორიოდ დღეში გაცხადდება.

**მამუკა ქვანტალიანი**

# რუსული ანდაზა ოსისთვის შემოდგომასა და წიწილებზე ერთი წიწილა საქართველოა



*ევრო 2004-ის შესარჩევ ტურნირში შემოდგომამდე შესვენებაა, მერე კი ისევ დაიწყება პორტუგალიისკენ გზის ძიება და ორომტრიალი. „მგზავრები" გასარკვევია მეათე შესარჩევ ჯგუფშიც, იქ, სადაც საქართველოს თეორიულად უმცირესშანსიანი ნაკრები თამაშობს. ამავე ჯგუფშია რუსეთიც, რომელმაც სწორედ უმცირესშანსიან გუნდებთან, საქართველოსთან და ალბანეთთან წაგებით მოულოდნელად გზიდან გადაუხვია. ახლა რუსთა ოს მძღოლ ვალერი გაზაევს მთავარ ტრასაზე დაბრუნება სურს. ამისთვის კი სამი საშემოდგომო თამაშის მოგებაა საჭირო. სწორედ ირლანდიასთან სტუმრად და შვეიცარია-საქართველოსთან საშინაო მატჩების მოგების შემდეგ გამოჩნდება პორტუგალია რუსეთიდან.*

*რუსეთის ნაკრების ბოლოდროინდელმა უსახურმა შედეგებმა ამ ქვეყანაში გვარიანი ვნებათაღელვა გამოიწვია. კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს ვალერი გაზაევსაც. ცხადია, რუსთა თავკაცისადმი შეკითხვები ჟურნალისტებსაც ბლომად დაუგროვდათ და აგერ, ინტერვიუც გაზაევთან გუშინდელ „სპორტ-ექსპრესში". ვფიქრობთ, ვალერი გეორგიევიჩის ნაუბარი არც ჩვენთვის უნდა იყოს უინტერესო...*

**— როგორც ვვარაუდობდით, ჩვენმა კონკურენტებმა, შვეიცარიამ და ირლანდიამ ივნისის მატჩებში ალბანეთთან და საქართველოსთან დაგეგმილი გამარჯვებები მოიპოვეს. ახლა შეცდომის უფლება არ გვაქვს. თქვენ როგორ აფასებთ ევრო 2004-ის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსებს?**

— გუნდის წინაშე ერთი კონკრეტული და ნათელი მიზანი დგას: ჯერ უნდა მოვიგოთ ირლანდიაში, მერე კი ორი საშინაო მატჩი შვეიცარიასთან და საქართველოსთან. ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. შვეიცარიასთან ბაზელური მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს ამის შესახებ უკვე ველაპარაკე. ისინი მზად არიან, გააკეთონ შესაძლებელიც და შეუძლებელიც.

**— 6 სექტემბერს დუბლინში, ალბათ, ყველაზე რთული მატჩი გელით. როგორ ფიქრობთ, პირველ ტურში მოსკოვში დამარცხებულ ირლანდიასა და ახლანდელს შორის დიდი განსხვავებაა?**

— ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. უბრალოდ, ირლანდიამ ცუდად დაიწყო ციკლი, თუმც მერე ქულებს თავი მოუყარა და ახლა იმ სამეულის წევრია, ჩვენი ჯგუფიდან ევროპის ჩემპიონატზე გასვლა რომ ძალუძს.

**— რუსეთის ნაკრებს სატურნირო ვითარება ალბანეთმა და საქართველომ გაურთულეს, იმ გუნდებმა, რომელთაც პორტუგალიაში წასვლის შანსი არ აქვთ. რატომ მოხდა ისე, რომ წავაგეთ კლასით აშკარად დაბალ საფეხურზე მდგომ მეტოქეებთან?**

— არანაირ გამართლებას არ ვეძებ. ვფიქრობ, მსოფლიოს ფეხბურთში ძალთა გადანაწილება ბოლო წლებში აშკარაა. „სუსტი გუნდები აღარ არსებობს" — ეს საყოველთაო დევიზი გახდა. თავად განსაჯეთ, საქართველოს ნაკრებს ჰყავს ჩემპიონთა ლიგის მომგები კალაძე, ალბანეთის სერია A-სა და ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელები. ასე რომ, წაგების გამო ისტერიკაში ჩავარდნა არ ღირს, თითქოს ბრაზილიის ნაცვლად ჩვენ ვიყოთ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები. ასეთი რამ ყველას ემართება.

**— მაგრამ თქვენ ალბათ გეგმავდით შკოდერში და თბილისში მოგებას...**

— რა თქმა უნდა. თუმც ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გეგმავ. მთავარია, ამ წაგებებიდან დასკვნები გამოგვეტანა და ჩვენ ეს გავაკეთეთ. აქ სხვა მიზეზების დასახელებაც შეიძლება. მოსტოვოის, კარპინის, კოლივანოვისა და კირიაკოვის დრო უკვე წავიდა. ახლა ნაკრებში კერჟაკოვმა, სიჩოვმა, იგნაშევიჩმა და სხვებმა უნდა ითამაშონ. ამას კი დრო სჭირდება. ახალი გუნდის შექმნა ძალიან რთული პროცესია. ამიტომ მოთმინება გვმართებს.

**— ოფიციალურ მატჩებამდე თითქმის სამი თვე დარჩა, მაგრამ მაინც შეგეკითხებით: როგორც ნაკრების თავკაცს, რა გაწუხებთ ახლა ყველაზე მეტად და პირიქით, რა გაძლევთ ოპტიმიზმის საბაბს?**

— ძალიან მინდა, შემოდგომამდე ჩემმა ფეხბურთელებმა ტრავმების გარეშე მიატანონ. ალბანეთში, საქართველოსა და შვეიცარიაში ისედაც აუარება საკადრო პრობლემა გვქონდა. მაგალითად, ორჯერ ონოპკოს გარეშე ვითამაშეთ. ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო. ოპტიმიზმი კი ფეხბურთელების განწყობის შედეგია. ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებთ.

**— ცსკა-ში და ნაკრებში ერთდროული მუშაობით ბევრ კრიტიკას იმსახურებთ. რას იტყვით?**

— არ დავმალავ, ეს მართლაც ძალიან ძნელია. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— თუკი ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანთ, მაშინ როგორ იქნება ეს საქმე?**

— სეზონის დასრულებისთანავე ამ საკითხზე აუცილებლად დავფიქრდები. დამერწმუნეთ, მე და რუსეთის საფეხბურთო კავშირი გადაწყვეტილებას მხოლოდ ჩვენი ფეხბურთის სასარგებლოდ მივიღებთ.

**— თქვენი მწვრთნელობისას ნაკრების სათამაშო სტილი მნიშვნელოვნად შეიცვალა. შვეიცარიასთან მატჩში გუნდს აშკარად აკლდა გამთამაშებელი, როგორც თანამედროვე ფეხბურთში იტყვიან, პლეიმეიკერი. თქვენ პრინციპულად არ ყურდნობით ასეთი სტილის ფეხბურთელებს?**

— ყველა მწვრთნელს საკუთარი მოსაზრება აქვს. ჩემი პრინციპი ისაა, რომ შუა ხაზის ფეხბურთელებს თანაბარ დონეზე უნდა შეეძლოთ მეტოქის შეტევის ჩაშლა და საკუთრის წამოწყება. ხოლო ფეხბურთელი, გვარად პლეიმეიკერი მე არ გამიგია.

**— რა პერსპექტივა აქვს ნაკრებში იგორ ტიტოვს, რომელიც შვეიცარიასთან სათამაშოდ არ გამოიძახეთ?**

— მის შესაძლებლობებში ეჭვი არასოდეს შემიტანია, მაგრამ დღეს ცენტრალური ნახევარმცველი ნაკრებში სათამაშოდ უფრო მეტ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. თბილისურმა მატჩმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა.

**— როგორ ეგუებით კრიტიკას?**

— გააჩნია, ვინ გაკრიტიკებს. ობიექტურ შენიშვნებს აუცილებლად ვისმენ. აი, დემაგოგიური და სუბიექტური კრიტიკის მოსმენისთვის დროის დახარჯვა კი ნაღდად არ ღირს. ვცდილობ, ასეთ რამეებზე თვალები დავხუჭო.

**— თქვენ ყოველთვის ისეთ ადამიანად გიცნობდით, რომელიც ჟურნალისტებთან ურთიერთობას არ გაურბის. ამიტომაც უცნაური იყო, თბილისში მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რომ არ გამოცხადდით. რა მოხდა?**

— მშვენივრად მესმის, რომ ფეხბურთი ხალხისაა. ამ კავშირის გაღრმავებას კი პრესა ემსახურება. ერთი სიტყვით, ჟურნალისტებთან ურთიერთობა მწვრთნელის მოვალეობაა. სამწუხაროდ, გაზაფხული ჩემთვის რთული გამოდგა არამარტო პროფესიული თვალსაზრისით, არამედ ჯანმრთელობის მხრივაც. შკოდერსა და თბილისში გამართულ მატჩებს შორის რთული ოპერაცია გადავიტანე. ექიმები საერთოდ მიკრძალავდნენ თამაშზე დასწრებას. ალბათ, ამან ჩემს მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა. თავს არ ვიმართლებ. მწვრთნელი ვალდებულია, პრესკონფერენციაზე გამოცხადდეს. არა აქვს მნიშვნელობა, გუნდი მოიგებს, თუ წააგებს.

**— ცოტა უკან დავბრუნდეთ: რას შეცვლიდით ახლა, რუსეთის ნაკრებს ალბანეთთან და საქართველოსთან მატჩები რომ ელოდეს?**

— უკვე მომხდარზე ბრძნული მსჯელობა ადვილია. რა აზრი აქვს ამ თემაზე ლაპარაკს, როცა ის მატჩები უკვე წაგებულია? ახლა მომავალზე ვიფიქროთ. ჩვენი ბედი შემოდგომაზე გადაწყდება.

# რა შეუძლია ფეხბურთს

## იცით, ვინ ქომაგობს ლიახვს?

## ქართველი, ოსი, ბულგარელი, უნგრელი...

**ერგნეთის ბაზრობას** გასცდებით თუ არა, ტრაფარეტზე დიდი ასოებით წერია „ცხინვალი"! გაჰყვები გზას და შიგადაშიგ თვალში გეცემა ჭერახდილი და გადამწვარი სახლები. დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ერთ დროს იქ ქართველები ცხოვრობდნენ.

მთავრდება „ცხინვალი" და დიდი ლიახვის 11-კილომეტრიანი ხეობა იწყება, გარშემო 9 ქართული სოფლით, სადაც საქართველოს იურისდიქცია მოქმედებს და ქართული გული ძგერს.

ხეობაშიც ნახავთ ჭერახდილ და გადამწვარ სახლებს და უკვე ადვილად ხვდებით, რომ ერთ დროს იქ ოსები ცხოვრობდნენ.

ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა თავის დროზე ბევრი ოჯახი გააუბედურა, ფუძეს მოსწყვიტა, ამ ხალხს მშობლიური კუთხე დღესაც ენატრება.

თითქოს ვინ არ ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას, შინაური თუ უცხოელი, მაგრამ ჯერჯერობით იქ ნაძალადევი მშვიდობა და ფარული მტრობა მეფობს.

და მაინც, შიდა-ქართლის გუბერნატორის მოადგილემ ზურაბ რევაზიშვილმა თავის თანამოაზრეებთან ერთად დიდი ლიახვის ხეობაში საფეხბურთო გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. გუნდში ქართველებს და ოსებს ერთმანეთის მხარდამხარ უნდა ებურთავად, მაგრამ ეს არ გახლდათ ადვილად განსახორციელებელი იდეა. თამარაშენში ოსი ფეხბურთელების ჩაყვანა თავიდან დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ეთნოკონფლიქტის დანატოვარი იარებიდან ხომ ჯერაც წვეთავდა სისხლი.

თაოსნებმა საქმე მაინც ბოლომდე მიიყვანეს, ყველა უძნელესი პრობლემა უკან მოიტოვეს და მეორე სეზონია, თამარაშენის „ლიახვი" რეგიონულ ლიგაში თამაშობს.

ის, რაც ვერ მოახერხეს ათასგვარმა სამთავრობო კომისიებმა, სამშვიდობოებმა, გაერომ თუ ეუთომ, ფეხბურთმა შეძლო. „ლიახვში" ქართველები და ოსები მხარდამხარ, ერთი მიზნისთვის იბრძვიან. გუნდში მეგობრული ატმოსფერო და ერთიანობა სუფევს.

საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენლობამ რომ ნახა, კარგი საქმე კეთდებოდა, წამოწყებას ხელი წააშველა და „ლიახვს" სათამაშო ფორმის მთელი კომპლექტი აჩუქა. სხვა საჩუქრებიც არ დავიწყებიათ და სწორედ მაშინ გავიცანი ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ცხინვალის ოფისის ხელმძღვანელი, ბულგარელი განჩო განჩევი. ბატონი განჩევი ფეხბურთის დიდი ტრფიალი და სოფიის ცსკა-ს ქომაგი აღმოჩნდა. ძალიან გამაკვირვა, როცა ბულგარეთში მობურთალ ჩვენებურებზე ჩამომიგდო სიტყვა და ყოფილი ბათუმელი ამირან მუჯირი მიხსენა, მართლაც კარგი ფეხბურთელიაო.

ცოტა რომ გავუშინაურდი, ბატონ განჩევს ეთნოკონფლიქტსა და მისი დარეგულირების შანსებზე შევაპარე კითხვა. ყველა სიტყვას ათასჯერ წონიდა ბულგარელი, თუმც ბოლოს მაინც თქვა, ეს კონფლიქტი სულაც ხელოვნურად აგორებული მგონიაო.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებელი, უნგრელი ბელა კომა უფრო სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. მხოლოდ მაშინ ალაპარაკდებოდა, როცა ფეხბურთზე ვკითხავდი რამეს. ევროპის თასის მფლობელი დინამოელებიც იცოდა და უნგრეთის დიდი გუნდის შესახებ ლეგენდებსაც სიხარულით ყვებოდა. „ლიახვის" ქომაგიც ვარო, დამშვიდობებისას მომაძახა.

თამარაშენულ გუნდს ქართველი ზაზა რომელაშვილი და ოსი ვოვა ზასიევი ერთად წვრთნიან. ცხინვალის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ქართველ ჟურნალისტებს პრობლემა რომ შეგვექმნა, ოსთაგან სწორედ ზასიევი აქტიურობდა და ჩვენს გატარებას ითხოვდა.

„ლიახვის" კაპიტანიც ოსია. ალან ტატაევის თქმით, არავის საკითხავი არ არის, სად ითამაშებს და ქართველ თანაგუნდელებთანაც ჩინებული ურთიერობა აქვს. სულ „ლიახვში" ექვსი ოსია და გუნდში პრობლემა არასდროს შექმნილა.

როცა „ლიახვი" საშინაო მატჩებს თამაშობს, მოედნის შორიახლოს დაბურულმინიან მანქანებს შენიშნავთ. მინები სულ ოდნავ არის ჩაწეული და შიგ მსხდომებიც თამაშს იქიდან უცქერიან. ესენი ფეხბურთს დანატრული ცხინვალელები არიანო, გეტყვიან კლუბის თავკაცები.

ის, რაც მთავრობებს არ შეუძლიათ, ფეხბურთს შეუძლია.

**მამუკა ძმანტალიანი**



ქართულ-ოსური „ლიახვი"

# საძაგელი რეალი, საძაგელი მანჩესტერი!

## და სხვა საძაგლობები

*„ო, არა! თუ ფოტოს ამბავი მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხალხთან დარეკვა და სიტუაციის გარკვევა მომიწევს“ — შესძახა სანდრო როსელიმ, „ბარსელონას“ ორი დღის წინ არჩეული პრეზიდენტის, ხუან ლაპორტას მარჯვენა ხელმა, გამოცდილმა საქმოსანმა.*



ხუან ლაპორტა

მართალია, ფოტოს ამბავზე „სარბიელმა“ უკვე მოგითხროთ, მაგრამ გავიმეორებთ: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა, სწორედ ის, რომელმაც ზემოხსენებულ ლაპორტას პირობა დაუდო, თუ პრეზიდენტი გახდები ბექჰემს მოგყიდიო, ლაპორტას ზურგსუკან იტალიაში, კუნძულ სარდინიაზე გაფრინდა და მადრიდის „რეალის“ ხალხს შეხვდა. ეს შეხვედრა, გარეგნული ნიშნების მიხედვით, ფრიად გასაიდუმლოებული იყო და, რომ არა პრესა, საიდუმლოდაც დარჩებოდა, მაგრამ „სანის“ პაპარაცებმა კლუბთა გაქნილი წარმომადგენლების, დევიდ გილისა და პედრო ლოპესის ერთად გადაღება შეძლეს და ფოტომ მსოფლიო მოიარა.

გაგვაგებინეთ, რა ხდება? ეს კითხვა ბუნებრივია ჩვენზე მძაფრად იქ ესპანეთსა და ინგლისში დასვეს, პასუხი კი ყველამ თავისი კლუბის შეფობას მოთხოვა.

პასუხად ლაპორტამ ასეთი სურათი დახატა: „იუნაიტედთან“ საქმე „ბარსელონას“ ჰქონდა მოგვარებული და ეჭვი არაა ინგლისელები პირის გატეხვას არ იკადრებდნენ. გამოდის, რომ „რეალი“ მანჩესტერული კლუბისგან ფარულად პირდაპირ ბექჰემს ურიგდება, თავგზას უბნევს და, შესაბამისად, ფიფას წესებს არღვევს.

ვეჭვობ მადრიდელები ფიფას კანონებს პატივს სცემდნენ. მე ყველაფერს გამოვიკვლევ და შესაბამისად ვიმოქმედებთ.

ერთი სიტყვით, ლაპორტამ „რეალისა“ და „იუნაიტედის“ (და არა ბექჰემის) წარმომადგენელთა შეხვედრა „რეალისა“ და ბექჰემის (და არა „იუნაიტედის“) წარმომადგენელთა შეხვედრად გადააკეთა და ზედაც „ბარსას“ ქომაგთა გულის მოსაგებად მადრიდელები მიალანძღა, ფიფას წესებს არ იცავენო. ზემოხსენებულმა სანდრო როსელიმ კი შეფისგან განსხვავებით მთლად ასე ვერ იჟონგლიორა და თქვა:

„ბექჰემის თაობაზე „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩვენთან არის გარიგებული და მალულად „რეალსაც“ დაელაპარაკა თუ არა, გავარკვევ“.

ლაპორტასგან განსხვავებით, მანჩესტერელთა გარუჯულმა თავმჯდომარემ, პიტერ კინიონმა, რომელიც ხმელთაშუაზღვის რომელიღაც კუნძულიდან ამ დღეებში დაუბრუნდა სამუშაო კაბინეტს, თავისი სათქმელი მოკლედ თქვა:

„დღეს, მოვლენის კომენტირება არასწორ ნაბიჯად მიმაჩნია“.

რაც შეეხება „რეალის“ ტრანსფერთა შემოქმედს, ხორხე ვალდანოს, მან განაცხადა, რომ სარდინიაზე კლუბის წარმომადგენელთა შეხვედრა მართლა გაიმართა, ოღონდ, ასე ვთქვათ, დღის წესრიგში მარკეტინგული საკითხები იდგა და არა ბექჰემის ამბავი. თავად მოლაპარაკების მონაწილე პედრო ლოპესმა, მადრიდის „პალას ოტელში“ ჟურნალისტებს ასე მიუგო:

„მარკეტინგის სპეციალისტებს ბექჰემზე რატომ უნდა გველაპარაკა?“

და, ისევ სანდრო როსელი: „ჩემი შემდეგი ნაბიჯი ბექჰემის წარმომადგენელთან, ტონი სტივენსთან შეხვედრა იქნება. 80 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ დევიდი „ბარსელონას“ ფეხბურთელი გახდება. მისი პირიდან ერთხელაც არ გამიგია, რომ ჩვენთან გადმოსვლა არ სურს და მხოლოდ მაშინ შევშფოთდები, როდესაც თავად მეტყვის უარს“.

აი, ასე ბლანდავენ მსხვილი საფეხბურთო ბოსები. ბევრ რამეს აშკარად იტყუებიან, ბევრს თვალის ასახვევად აცხადებენ, მაგრამ ეგ კიდევ არაფერი, ყველაზე სასეირო ისაა თუ ყველაფერი მოლაპარაკებული აქვთ და იმითავითვე იცოდნენ, რომ ბექჰემს „რეალი“ ყიდულობდა, ხოლო მისი სახელით ლაპორტას არჩევნები უნდა მოეგო. ისე კი, თუ მიაქციეთ ყურადღება, ბოლო ხანს ინგლისის ნაკრების კაპიტნის კიდევ ერთი და არცთუ უმანკო მსურველი, „მილანი“ რომ მიჩუმდა?

ამრიგად, სულ არაა გამორიცხული, რომ ლაპორტამ „ბარსელონას“ კლუბის წევრები და ქომაგები გააცურა. მან ბექჰემის სახელი ისე და იმდენჯერ ატრიალა, რომ პრეზიდენტობა მოიგო და, ვინ იცის, ახლა სულ სხვა საქმეების დატრიალებას აპირებს. მაგალითად, მწვრთნელის გამოცვლას — რადომირ ანტიჩმა ჯერაც არ იცის მიდის თუ რჩება.

„ბექჰემს მოიყვანენ თუ ვერა, კაცმა არ იცის — ამბობს ანტიჩი — ეს ლაპორტას საარჩევნო დაპირება გახლდათ, რომელიც ასრულდება თუ არა, უცნობია. ისე, მასში ძალიან დიდი თანხის გადახდას აპირებენ. ერთი ფეხბურთელისთვის ეს მეტისმეტია. მაგას სჯობს დასახელებულ ფულად რამდენიმე კაცი იყიდონ და გუნდი გააძლიერონ“.

იმავეს ამბობს მადრიდის „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავი მიჩელი — სრული სახელია ხოსე მიგელ გონსალესი — ბოლო წლებში ჟურნალისტად ქცეული და კლუბის საქმეთა ანალიტიკოსი: „ბექჰემი დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ ნახევარდაცვაში „რეალს“ დიდი არჩევანი აქვს: ფიგუ, ზიდანი, გუტი... აუცილებლად გასაძლიერებელი კი სულ სხვა რგოლია და ეს ქომაგებსაც კარგად მოეხსენებათ“.

მადრიდელ ქომაგებს კიდევ, აი, რა მოეხსენებათ კარგად: კლუბის თილისმა და ლიდერი, რაული, მეშვიდე ნომრიან მაისურას ბექჰემს არ დაუთმობს. გახსოვთ, „მილანზე“ რომ იყო ლაპარაკი, მაშინ იგივე პრობლემა ანდრეი შევჩენკოსთან დაკავშირებით იდგა.

„ჩემთვის „რეალის“ ეს ნომერი ჯადოსნურია და მისი ტარება დიდ პატივად მიმაჩნია. მსოფლიოს უდიდესი კლუბის ამ ნომრიანი მაისურისთვის ყოველთვის ვიბრძოდი და ვამბობ „არ უნდა მოვიდეს, არ დავუთმობ“ — კატეგორიულად თქვა რაულმა.

საინტერესო რამ მოხდა გაზაფხულზე: როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის სათამაშოდ მადრიდს ეწვია (მაშინ ბექჰემის „სამეფო კლუბში“ გადასვლაზე საუბარი სულ ორი-სამი კვირის დაწყებული ჰქონდათ), „რეალის“ შეფებმა მეგობრობის ნიშნად ერთი ცალი თეთრი მაისურა, ნომერი შვიდი, ბექჰემის გვარით შეაკერინეს და ინგლისელს შვილისთვის, პატარა ბრუკლინისთვის სამახსოვროდ გადასცეს. ამ ამბავმა, თვითმხილველთა მტკიცებით, რაული საშინლად გააბრაზა.

აღსანიშნავია, რომ რაულს ნომრის ამბავი კონტრაქტში აქვს ჩაწერილი და ის სამ მილიონადაა დაზღვეული. გავიხსენოთ ისიც, რომ მან, თავის დროზე, ეს მაისურა, „ბარსელონადან“ სენსაციურად გადაყვანილ ლუიშ ფიგუსაც არ დაუთმო.

და ბოლოს, რა ხდება ბექჰემის სამშობლოში, ინგლისში? როგორ ხვდებიან იქ ამ ამბავს? რას ამბობს პრესა?

პრესა, კერძოდ კი კულუარული ამბების დიდოსტატი და ამჟამად ყველაზე დიდტირაჟიანი „სანი“, ამჯერად ანალიზს მისცემია და „მანჩესტერ იუნაიტედს“ უსინდისობაში ადანაშაულებს.

„ჩვენ „მენსფილდ თაუნზე“ კი არა, „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ვსაუბრობთ, მსოფლიოში ყველაზე ფესვგადგმულ, უმაღლესი სტანდარტების კლუბზე ის ერთ-ერთი უმდიდრესი და უამაყესია, მაგრამ დღეს იმ უთავმოყვარეო მოყვარულთა დაჯგუფებასავით იქცევა რომელიც ვერ ხვდება, რომ ღირსებას ტალახში ისვრის, ტრადიციას ღალატობს და მეტ ბასბის იმ ქვეყნად დაღვრილ ცრემლებს ვერ ხედავს.

მეტიც, ჭრილობა ღრმავდება, ფართოვდება, ის კი სდუმს. ნუთუ ვერავინ ბედავს სიმართლის სათქმელად ნაბიჯის გადადგმას? თუნდაც, იგივე ფერგიუსონს, შეგუებაში მოხერხებულად რომ გასულა და მენჯიკით ღუმს, ვინმემ უნდა უთხრას, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელობა პირდაპირ ავალდებულებს განგვიმარტოს, ასე მოულოდნელად რატომ იყიდება გუნდის ყველაზე ცნობილი და ფასეული ფეხბურთელი“.

ვფიქრობთ, „სანის“ განრისხების საბაბი ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს: ბექჰემის ნამდვილი გაგდება, ერთ გუნდთან გარიგება და მის ზურგსუკან მეორესთან ჩურჩული, თავისი ერთგული ფეხბურთელის სხვათათვის საარჩევნო სატყუარად მისაღება და ასე შემდეგ, ყველაფერი ის, რაზეც ამდენი ხანია ვწერთ და ვწერთ.

გაგრძელება იქნება.

**პაატა კოდია**



სად წავა დევიდ ბექჰემი, ჯერ არავინ იცის

*„ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნებში ახალგაზრდა კატალონიელ ადვოკატ ხუან ლაპორტას გამარჯვების შემდეგ მის უამრავ საარჩევნო დაპირებათაგან პირველი უკვე აღსრულდა — „ბარსამ“ „ფენერბაჰჩესა“ და თურქეთის ნაკრების გამოცდილი მეკარე, 30 წლის რუშთუ რეჩბერი შეიძინა. თურქი მეკარე 4+1-წლიანი კონტრაქტით შეეკრა „ბარსას“ და ეცდება, პრიმერადივიზიონის გრანდს ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობაში დაეხმაროს. გაეცანით კატალონიური ტრანსფერით აღფრთოვანებული რუშთუსა და ბარსელონური „სპორტის“ გასაუბრებას.*

# რუშთუს ჰამპ ნოუ რიჰალდოში შორიდან შეაქვარა

**— კლუბის ახალი პრეზიდენტი ლაპორტაა...**

— არჩევნების საბოლოო შედეგის გამოცხადებამდე რამდენიმე წუთით ადრე უკვე ვიცოდი, რომ ლაპორტა გაიმარჯვებდა. ძალიან მინდოდა, რომ ასე მომხდარიყო.

**— ახალ პრეზიდენტს მხარს „ბარსაში“ მოხვედრისთვის უჭერდით?**

— დიახ, რასაკვირველია. იგი ხომ კატალონიაში ჩემი გადმოყვანის მსურველი იყო, გამარჯვებისთანავე კონტრაქტის გაფორმებას შემპირდა. მთელი სულით და გულით ლაპორტასკენ ვიყავი.

**— ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— დიდებულად! ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ მსოფლიოში. მე ხომ ცხოვრებაში ყველაზე ტკბილი სიზმარი ამიხდა.

**— ლაპორტას თანამოსაქმემ სანდრო როსელიმ ჩვენთან საუბარში თქვენი „ბარსელონასადმი“ დიდი ხნის სიყვარული აღნიშნა.**

— მართალი უთქვამს. „ბარსა“ ბავშვობიდანვე ჩემი საყვარელი გუნდი იყო.

**— ხომ ვერ გვეტყვით, რატომ?**

— თამაშის სტილი მომწონდა. მას შემდეგ, რაც ფეხბურთის ანბანი ვისწავლე, ევროპის გრანდების, „მილანის“, „იუვენტუსის“, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბარსელონას“ მატჩებს უყურადღებოდ არ ვტოვებდი. კატალონიური კლუბი ჩემზე ჯადოსნურად მოქმედებდა. იოჰან კრუიფისა და მისი დიდი შეგირდების ზეობის ხანაში უკვე „ბარსას“ თავგადაკლული გულშემატკივარი ვიყავი.

**— ბარსელონაში თუ ხართ ნამყოფი?**

— მხოლოდ ერთხელ, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის დროს. რივალდომ მაშინ შორეული დარტყმით გამიტანა და 0:1 წავაგეთ. „ნოუ კამპით“ მოვიხიბლე და ჩემს თავს ვუთხარი, სულ ცოტა ხანში ამ სტადიონის მკვიდრი მეკარე ვიქნები-მეთქი.

**— კლუბში ახლა არეული სიტუაციაა.**

— ვიცი ამის შესახებ. „ბარსაში“ სერიოზული განახლება იწყება და ჩემთვის დიდი პატივია ამ პროცესში მონაწილეობის მიღება. სახელოვან გუნდში მომიწევს თამაში და ყველაფერს გავაკეთებ, რათა „ბარსელონას“ ძველი დიდების დაბრუნებაში დავეხმარო.

**— როსელი ბექჰემის, რონალდინიოსა და ტიერი ანრის შეძენაზეც ლაპარაკობს. რას იტყვით ამის შესახებ?**

— მივესალმები მის განზრახვას. კლუბის ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა იზრუნოს კატალონიურ გრანდში რაც შეიძლება მეტი ვარსკვლავის გადმოყვანაზე. „ბარსას“ უკვე ჰყავს დიდებული ფეხბურთელები. კლუივერტი, სავიოლა, ხავი და პუიოლი შესანიშნავად თამაშობენ.

**— ამბობენ, არსენ ვენგერს ძლიერ სურდა რუშთუს „არსენალის“ შემადგენლობაში ხილვა. მართალია?**

— რამდენიმე თვის წინ მართლაც შემომთავაზეს კარგი კონტრაქტი. მაშინ არავითარი გადაწყვეტილება არ მიმიღია, რადგან ჩემს წარმომადგენლებს იქამდე უკვე ვთხოვე „ბარსასთან“ დაკავშირება ეცადათ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. მე და ჩემი მეუღლე ძალიან ბედნიერები ვართ. ბარსელონაში ცხოვრების პერსპექტივა არცთუ ცუდი საქმეა.

**— თურქეთში კარიერის გაგრძელება აღარ გინდოდათ?**

— ამჟამად უკეთესი იქნება, თუ რამდენიმე წლით უცხოეთში გავაგრძელებ თამაშს. ცხოვრება თურქეთში გავატარე და ახლა სხვა ქვეყანასა და კლუბს მინდა გავეცნო.



# კონფედერაციის თასი 2003. საფრანგეთი. 18-29 ივნისი

## ნუშურვილით მოკლული ოსმალო
## მშვიდი ბრაზილია და შვიდი ახალი

ფიფამ ეს ტურნირი თორმეტი წლის წინ მოიგონა. პირველ სამ გათამაშებას საუდის არაბეთმა უმასპინძლა. 1992-ში თასი არგენტინას, 1995-ში დანიას, 1997-ში კი ბრაზილიას ერგო.

1999 წელს კონფედერატებს მექსიკა დაუხვდა და ფინალში ბრაზილიას სძლია. 2001-ის ზაფხულში ტურნირი კორეა-იაპონიაში გაიმართა. თასის მეხუთე მფლობელი საფრანგეთის ნაკრები გახდა. ფრანგებმა ფინალში იაპონელებს აჯობეს.

ფიფას ახირება და ყოველ ორ წელიწადში სანაკრებოდ ფეხბურთელების გამოძახება ბევრს გულზე არ ეხატება, მით უმეტეს, ბრაზილიისა და საფრანგეთის დარ გუნდებს. ახალი ზელანდიისთვის ან თუნდაც ამერიკელებისთვის კი ძალების მოსინჯვის საუკეთესო საშუალებაა. მოკლედ, კონფედერაციის თასს ყველა თავისებურად უყურებს.


ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი კონფედერაციათა თასს კბილებით იცავს

## A ჯგუფი

### კოლუმბია

მეკარეები: ოსკარ კორდობა (ბეშიქთაში, თურქეთი), ხუან კარლოს ენაო (ონსე კალდასი), ლუის მარტინესი (ენვიგადო);

მცველები: ივან კორდობა (ინტერი, იტალია), მარიო იეპესი (ნანტი, საფრანგეთი), ედგარ რამოსი (სანტა ფე), ხოსე მერა (დეპორტივო კალი), ხერარდო ვალეხო (დეპორტივო კალი), ანდრეს მოსკერა (დეპორტივო კალი), ხერარდო ბედოია (რასინგი, ბრაზილია), გონსალო მარტინესი (ნაპოლი, იტალია);

ნახევარმცველები: არნულფო ვალენტიერა (ონსე კალდასი), ჯოვანი ერნანდესი (დეპორტივო კალი), ელკინ მურილიო (დეპორტივო კალი), ოსკარ დიასი (დეპორტივო კალი), რუბენ ველასკესი (ონსე კალდასი), ხორხე ლოპესი (მილიონარიოსი), ხაირო პატინო (დეპორტივო კალი);

თავდამსხმელები: ელსონ ბეჩერა (დეპორტეს ტოლიმა), ვიქტორ არისტისაბალი (კრუზეირო, ბრაზილია), ერლი ალკასარი (ჩენტაუროსი), ეუდალიო არიაგა (ხუნიორ ბარანკილია), მარტინ არზუაგა (ხუნიორ ბარანკილია)

### საფრანგეთი

მეკარეები: მიკაელ ლანდრო (ნანტი), ფაბიენ ბარტეზი (მანჩესტერი, ინგლისი), გრეგორი კუპე (ლიონი);

მცველები: ფილიპ მექსეში (ოსერი), ბიქსენტ ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), ჟანალენ ბუმსონგი (ოსერი), უილიამ გალასი (ჩელსი, ინგლისი), მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერი, ინგლისი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია), ვილი სანიოლი (ბაიერნი, გერმანია);

ნახევარმცველები: ოლივიე დაკური (რომა, იტალია), რობერ პირესი (არსენალი, ინგლისი), ლუდოვიკ ჟიული (მონაკო), სილვენ ვილტორდი (არსენალი, ინგლისი), ჟერომ როტენი (მონაკო), ოლივიე კაპო (ოსერი), ბენუა პედრეტი (სოშო), უსმან დაბო (ატალანტა, იტალია);

თავდამსხმელები: ჯიბრილ სისე (ოსერი), ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), სტივ მარლე (ფულემი, ინგლისი), სიდნეი გოვუ (ლიონი)

### იაპონია

მეკარეები: სეიგო ნარაზაკი (ნაგოია გრამპუსი), იოჩი დოი (ტოკიო), იოშიკაცუ კავაგუჩი (პორტსმუთი, ინგლისი);

მცველები: აკირა ნარაჰაში (კაშიმა ანთლერსი), იუტაკა აკიტა (კაშიმა ანთლერსი), რიუზო მორიოკა (შიმიძუ ესპულსი), ტოშიჰირო ჰატორი (ჯუბილო ივატა), ცუნეიასუ მიამოტო (გამბა ოსაკა), კეისუკე ცუბოი (ურავა რედსი), ნობუჰისა იამადა (ურავა რედსი);

ნახევარმცველები: იუნიჩი ინამოტო (ფულემი, ინგლისი), ჰიდეტოში ნაკატა (პარმა, იტალია), მიცუო ოგასავარა (კაშიმა ანთლერსი), შუნსუკე ნაკამურა (რეჯინა, იტალია), დაისუკე მაცუი (კიოტო ფარფლი), დაისუკე ოკუ (იოკოჰამა მარინოსი), სანდრო სანტოს ალექსი (შიმიძუ ესპულსი), ტომოკაზუ მიოინი (კაშივა რეისოლი), კოჯი ნაკატა (კაშიმა ანთლერსი), იასუჰიტო ენდო (გამბა ოსაკა);

თავდამსხმელები: იოშიტო ოკუბო (სერეზო ოსაკა), იუჩირო ნაგაი (ურავა რედსი), ნაოჰირო ტაკაჰარა (ჰამბურგი, გერმანია)

### ახალი ზელანდია

მეკარეები: ჯეისონ ბეტი (ქავერშამი, ინგლისი), მაიკ უტინგი (ფუტბალ კინგზი), მარკ პესტონი (ნაპიერ სიტი) ;

მცველები: დანკან ოუფტონი (კოლუმბუს ქრიუ, აშშ), დევიდ მალიგანი (ბარნსლი, ინგლისი), კრის ზორიჩიკი (ნიუკასლი, ავსტრალია), დენი ჰეი (უოლსოლი, ინგლისი), გევინ უილკინსონი (პორტლენდ ტაიმბერსი, აშშ), რაიან ნელსენი (ვაშინგტონი, აშშ), სკოტ სმიტი (კინგსტონიანი, ინგლისი), ჯერარდ დევისი (ტამპერე, ფინეთი);

ნახევარმცველები: ივან ვიკელიჩი (როდა, ჰოლანდია), აარან ლაინსი (რუხი, პოლონეთი), მარკ ბარტონი (ფუტბალ კინგზი), კრის ჯექსონი (ფუტბალ კინგზი), რაფ დე გრეგორიო (ფუტბალ კინგზი), საიმონ ელიოტი (ლოს ანჯელეს გალაქსი, აშშ), ნოა ჰიკი (ტამპერე, ფინეთი), მაიკლ უილსონი (სტენფორდი, აშშ);

თავდამსხმელები: კრის კილენი (ოლდემი, ინგლისი), კრის ბუკენოვგი (რონსე, ბელგია), შეინ სმელცი (ადელაიდა სიტი, ავსტრალია), ვაუგან კოვენი (სამხრეთ მელბურნი, ავსტრალია)

ამჯერად მასპინძელი საფრანგეთია. მატჩები სამ ქალაქში — პარიზში, ლიონსა და სენტ ეტიენში გაიმართება. ჟაკ სანტინიმ თითქმის ყველა ფეხბურთელი შეკრიბა ზინედინ ზიდანისა და კლოდ მაკელელეს გარდა. ისინი პრიმერადივიზიონში მადრიდის „რეალს“ ეხმარებიან.

იაპონელთა ბრაზილიელი დამრიგებელი ზიკო შედეგებით ვერ დაიკვეხნის. ბოლო სამ ამხანაგურ მატჩში მის გუნდს მოგება არ უგემია. სამხრეთკორეელებთან 0:1 წააგეს, მერე პარაგვაისთან უგოლო ფრეს დასჯერდნენ, არგენტინამ კი 4:1 გაანადგურა.

ზიკოს იაპონია შოკიდან გამოსვლას კონფედერაციის თასზე ახალზელანდიელთა ძლევით აპირებს: „ეს მატჩი თუ მოვიგეთ, მომდევნო ორში გაცილებით ლაღად და თავისუფლად ვითამაშებთ. საფრანგეთს ვერ შევედრებით, მაგრამ ვფიქრობ, რომ კოლუმბიასა და ზელანდიაზე უკეთესი ნაკრები გვყავს“.

იაპონელებს „ფეიენოორდის“ ლეგიონერი შინჯი ონო ტრავმის გამო დააკლდებათ.

„კოპა ამერიკას“ 2001 წლის მფლობელი კოლუმბია შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა. ამჯერად სამხრეთამერიკელები ოსკარ და ივან კორდობების თამადობით საფრანგეთში თასის მოსაგებად ჩავიდნენ. ამის შესახებ მცველმა ხერარდო ბედოიამ თქვა: კონფედერაციის თასის გათამაშება ჩვენი ნაკრებისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია, რადგან მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადებას აქედანვე ვიწყებთ. შინ თასით ხელდამშვენებულები უნდა დავბრუნდეთ“.

ახალი ზელანდია კონფედერაციის თასზე 1999 წელს მექსიკაშიც იყო, მაგრამ ჯგუფში სამივე მატჩი წააგო.

ახალგაზრდებმა გაცილებით ადრე, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატზე გააღწიეს. მაშინ ბრაზილიასთან, შოტლანდიასა და სსრკ-თან ერთ ჯგუფში მოხვდნენ და, თავადაც ხვდებით, შინ მალევე გაბრუნდნენ.

ამჯერად ზელანდიელებმა ისევ „ამოყვინთეს“ და შარშან ოკეანეთის ჩემპიონებიც გახდნენ. ფინალში ავსტრალიელებს 1:0 სძლიეს.


ზიკო ნავსის გატეხვას ახალი ზელანდიის დამარცხებით ეშურება

## ჯგუფური ეტაპი

### A ჯგუფი

18.06 სენ დენი
ახალი ზელანდია – იაპონია
18.06 ლიონი
საფრანგეთი – კოლუმბია
20.06 ლიონი
კოლუმბია – ახალი ზელანდია
20.06 სენტ ეტიენი
საფრანგეთი – იაპონია
22.06 სენ დენი
საფრანგეთი – ახალი ზელანდია
22.06 სენტ ეტიენი
იაპონია – კოლუმბია

### B ჯგუფი

19.06 სენტ ეტიენი
თურქეთი – აშშ
19.06 სენ დენი
ბრაზილია – კამერუნი
21.06 სენ დენი
კამერუნი – თურქეთი
21.06 ლიონი
ბრაზილია – აშშ
23.06 სენტ ეტიენი
ბრაზილია – თურქეთი
23.06 ლიონი
აშშ – კამერუნი

### ნახევარფინალი

26.06 ლიონი B1 – A2
26.06 სენ დენი A1 – B2

### მატჩი III ადგილისთვის

28.06 სენტ ეტიენი

### ფინალი

29.06 სენ დენი


კარლოს ალბერტო პარეირამ მარიო ზაგალოს ფოტოგრაფობაც იკისრა

# კონფედერაციის თასი 2003. საფრანგეთი. 18-29 ივნისი

## B ჯგუფი

ამ ჯგუფში მთავარი მატჩი, ბრაზილია — თურქეთი იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტები ერთი წლის მანძილზე ერთმანეთს მესამედ შეხვდებიან. აქამდე ორში (მუნდიალზე ჯგუფში და ნახევარფინალში) ბრაზილიელებმა იმარჯვეს და თურქებს რევანშის წყურვილი ჰკლავთ.

კარლოს ალბერტო პარეირამ რივალდოს, რონალდოს, რობერტო კარლოსსა და ჟილბერტო სილვას არ უხმო. რონალდოსა და რობერტო კარლოსის ამბავი მოგეხსენებათ, ზიდანთან და მაკელელესთან ერთად პრიმერადივიზიონის ბოლო აღმართს შეუდგნენ. პარეირამ რივალდოს და ჟილბერტო სილვას დასვენების საშუალება მისცა, ნაკრებში კი შვიდი ახალი ფეხბურთელი მიიწვია.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდუ ტეიშეირამ კარლოს ალბერტო პარეირა დაამშვიდა: „იმედი კი მაქვს, ბიჭები კიდევ ერთ ჯილდოს მოიგებენ, მაგრამ წინასწარ გეტყვით, რომ მწვრთნელისგან მაინცდამაინც გამარჯვებას არ ვითხოვ".

თავად პენტაკამპეონელთა თავკაცმა თქვა: „ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და გულშემატკივრებიც წარმატებებით განებივრებულნი არიან, თუმცა ამჯერად ახალი ფეხბურთელების გამოცდას ვაპირებ".

რიკარდუ ტეიშეირას კოლეგამ, თურქმა ჰალუკ ულუსოიმ დააქუხა: „საფრანგეთში დასასვენებლად არ ჩავსულვართ. ხალხი ნაკრებისგან მხოლოდ გამარჯვებას ელის. მსოფლიოს ბრინჯაოსნებს ტურნირზე ღირსეულად თამაში მართებთ. გარდა ამისა, ბრაზილიასთან ძველი ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი. შენოლ გიუნეშმა ახალბედებს უხმო და მათ უნდა შეძლონ ის, რაც შარშან ვერ შევძელით".

ბრაზილიელებს პირველ მატჩში აფრიკის ჩემპიონები, კამერუნელი ლომები დაეჯახებიან. კამერუნელთა გერმანელი თავკაცი ვინფრედ შეფერი ტურნირს ძლიერი შემადგენლობით ესტუმრა. მისი მიზანი პირველივე შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონთა დამარცხებაა.

რაც შეეხება ბრიუს არენას ამერიკას, შარშან მათ დუნიას დაანახეს, რომ ფეხბურთის თამაში ისწავლეს და იოლად ვერავინ დაჩაგრავს.

**მაკა ხუციშვილი**



ბრაზილიის ნაკრები უგარსკვლავობას მაინც არ უჩივის, საფრანგეთში რონალდინიო (მარცხნივ) ჩაიყვანა

### ბრაზილია

*მეკარეები:* დიდა (მილანი, იტალია), ჟულიო სეზარი (ფლამენგო), ფაბიო (ვასკუ და გამა);

*მცველები:* ბელეტი (ვილიარეალი, ესპანეთი), ლუსიო (ლევერკუზენი, გერმანია), ჟუანი (ლევერკუზენი, გერმანია), ჟილბერტო (გრემიო), მაურინიო (კრუზეირო), ფაბიო ლუსიანო (კორინთიანსი), ედუ დრაჩენა (კრუზეირო), კლებერი (კორინთიანსი);

*ნახევარმცველები:* ემერსონი (რომა, იტალია), რონალდინიო (პსჟ, საფრანგეთი), კლებერსონი (ატლეტიკო პარანენსე), რიკარდინიო (სან პაულუ), ედუარდო კოსტა (ბორდო, საფრანგეთი), დუდუ (ვიტორია), ადრიანო დე სოუზა (ატლეტიკო პარანენსე), ალექსი (კრუზეირო);

*თავდამსხმელები:* ადრიანო (პარმა, იტალია), გილი (კორინთიანსი), ილანი (ატლეტიკო პარანენსე), ლუის ფაბიანო (სან პაულუ)

### აშშ

*მეკარეები:* ჯო ქენონი (ლანსი, საფრანგეთი), ტიმ ჰოვარდი (ნიუ ჯერსი მეტროსტარზი), მარკუს ჰანემანი (რედინგი, ინგლისი);

*მცველები:* ფრენკი ჰეიდუკი (კოლუმბუს ქრიუ), გრეგ ბერჰალტერი (კოტბუსი, გერმანია), გრეგ ვანეი (ბასტია, საფრანგეთი), სტივ ჩერუნდოლო (ჰანოვერი, გერმანია), კარლოს ბოკანეგრა (ჩიკაგო ფაიარი), დენი კალაიფი (ლოს ანჯელეს გალაქსი), კორი გიბსი (ზანკტ პაული, გერმანია);

*ნახევარმცველები:* პაბლო მასტროენი (კოლორადო რაპიდსი), ედი ლუისი (პრესტონი, ინგლისი), ერნი სტიუარტი (ვაშინგტონი), იოვან კიროვსკი (ბირმინგემი, ინგლისი), კაილი მარტინო (კოლუმბუს ქრიუ), კრის არმასი (ჩიკაგო ფაიარი), ბობი კონვი (ვაშინგტონი), დამარკუს ბესლი (ჩიკაგო ფაიარი), კრის კლეინი (კანზას სიტი);

*თავდამსხმელები:* ლანდონ დონოვანი (სან ხოსე), კლინტ მატისი (ნიუ ჯერსი მეტროსტარზი), ტეილორ ტველმანი (ნიუ ინგლენდ რევოლუშიონი), ჯეფ კანინგემი (კოლუმბუს ქრიუ)

### კამერუნი

*მეკარეები:* იდრის კამენი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ერიკ კვეკო (ბამბუტოს დე მბუდა), ანდრე ებო (სტად ბეაკირი, საფრანგეთი);

*მცველები:* ბილ ჩატო (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), რიგობერტ სონგი (ლანსი, საფრანგეთი), ტიმოტე ატუბა (ბაზელი, შვეიცარია), პიერ ნჯანკა (სედანი, საფრანგეთი), ჯერემი ნჯიტაპი (მიდლსბრო, ინგლისი), ლუსიენ მეტომო (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), სალომონ ოლემბე (მარსელი, საფრანგეთი);

*ნახევარმცველები:* პერიე ნდუმბე (ოსერი, საფრანგეთი), ახილე ემანა (ტულუზი, საფრანგეთი), მოდესტ მბამბი (სედანი, საფრანგეთი), ჟოელ ეპალე (არისი, საბერძნეთი), გუსტავ ბაოკენი (ლივინგსტონი, შოტლანდია), მარკ-ვივიენ ფოე (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ერიკ ჯემბა-ჯემბა (ნანტი, საფრანგეთი), პარფა ნგონ აჯამი (ქენონ იაუნდე);

*თავდამსხმელები:* სამუელ ეტოო (მალიორკა, ესპანეთი), პიუს ნდიეფი (სედანი, საფრანგეთი), ვალერი მეზაგი (მონპელიე, საფრანგეთი), მოჰამადუ იდრისუ (ჰანოვერი, გერმანია), ჟოზეფ-დეზირე ჟობი (მიდლსბრო, ინგლისი)

### თურქეთი

*მეკარეები:* რუშთუ რექბერი (ფენერბაჰჩე), ომერ ჩატკიჩი (გაზიანთეფი), მურატ საჰინი (ადანა);

*მცველები:* ფათიჰ სონქაია (როდა, ჰოლანდია), ბიულენთ ქორქმაზი (გალათასარაი), ფათიჰ აკიელი (ფენერბაჰჩე), ალფაი ოზალანი (ასტონ ვილა, ინგლისი), აჰმეთ ილდირიმი (ბეშიქთაში), დენიზ ბარისი (გენჩლერი), იბრაჰიმ უზულმეზი (ბეშიქთაში), სერვეთ ჩეთინი (დენიზლი);

*ნახევარმცველები:* ერგუნ პენბე (გალათასარაი), ტაიფუნ კორკუტი (სოსიედადი, ესპანეთი), ვოლქან არსლანი (გალათასარაი), ილდირაი ბაშთურქი (ლევერკუზენი, გერმანია), ნეჩატი ატეში (ადანა), სელჩუკ შაჰინი (ისთანბული), იბრაჰიმ ტორამანი (გაზიანთეფი), გიოქდენიზ კარადენიზი (ტრაბზონი);

*თავდამსხმელები:* თუნჩაი სანლი (ფენერბაჰჩე), ნიჰათ კაჰვეჩი (სოსიედადი, ესპანეთი), ოკან ილმაზი (ბურსა), ჰუსეინ კარტალი (ანკარაგიუჯიუ)

# ა, კაცი, აკოსტა

**ბოლივიის** ნაკრებს დღეიდან ახალი მწვრთნელი ჰყავს, ჩილეს ნაკრების ყოფილი დამრიგებელი ნელსონ აკოსტა. ძველმა მწვრთნელმა კარლოს ტრუკომ ამ პოსტზე ოდენ ორი თვე გაძლო და სამუშაოდ მექსიკურ „პაჩუკოში" გადაბარგდა.

აკოსტა დაბადებით ურუგვაელია, თუმცა შემდეგ ჩილეს მოქალაქეობა მიიღო, ბოლივიელებმა კი მას მერე მიიწვიეს, როცა წინა კვირაში მათი ნაკრები ამხანაგურ მატჩში პორტუგალიასთან 0:4 დამარცხდა. იმ მატჩში გუნდი დროებითმა მწვრთნელმა დარიო ჯოვანოლიმ გაიყვანა, ვინაც „ვილსტერმანს" წვრთნის და ნაკრების ჩაბარება მხოლოდ იმ ერთ თამაშში სთხოვეს. აქვე დავძინოთ, რომ პორტუგალიელებთან სათამაშოდ ბოლივიის საუკეთესო კლუბებმა, „ბოლივარმა" და „სტრონგესლმა" თავიანთი ფეხბურთელები არ გაუშვეს.

აკოსტას მივუბრუნდეთ. დანიშვნისთანავე მან ჟურნალისტებს უთხრა, იმედი მაქვს, იგივეს გავახერხებ, რაც ხუთი წლის წინ შევძელიო. ხუთი წლის წინ აკოსტამ ჩილეს ნაკრები საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა.

„ვფიქრობ, ბოლივიის ნაკრებში დიდხანს ვიმუშავებ" — დასძინა აკოსტამ, რაც ნიშნავს, რომ მალე არ მოხსნიან, ანუ კარგი შედეგების იმედი აქვს.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვალტერ კასტედომ კი განაცხადა: „ჩვენ წარმატება გვჭირდება და გუნდი იმ კაცს ჩავაბარეთ, ვინც წარმატების მიღწევის საიდუმლოებები კარგად იცის". შეგახსენებთ, რომ ბოლივიამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლოს 1994 წელს, ამერიკაში ითამაშა.

ბოლივიური ფეხბურთის თავისებურებებსაც შეგახსენებთ. მათი ნაკრები საშინაო შეხვედრებს დედაქალაქ ლა პასში ატარებს და თითქმის ყოველთვის იგებს. საიდუმლო მარტივია: ლა პასი ზღვის დონიდან 3600 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ჰაერი იმდენად გაიშვიათებულია, რომ ხანძარიც კი არასდროს ჩნდება. ჰოდა, ცხადია, იქ ჩასული სტუმარი გუნდები ვერაფერს ახერხებენ, სამაგიეროდ, ბარში ბოლივიელები ძალიან სუსტები არიან, ბოლოს ოთხი წლის წინ მოიგეს. მომდევნო შესარჩევი ციკლიდან კი შესაძლოა ბოლივიელებს ლაპასური ხრიკები აღარ გაუვიდეთ, რაკი ყველა სამხრეთამერიკული ქვეყანა იქ თამაშს აპროტესტებს.

**გიორგი დარჯანია**



ნელსონ აკოსტა

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელი** ბერნდ შუსტერი მომავალი სეზონიდან დონეცკის „შახტარს" უთავკაცებს. უკრაინის ჩემპიონატის 29-ე ტურის „შახტარისა" და „ტავრიას" მატჩი, რომელსაც შუსტერიც ესწრებოდა ფრედ 3:3 დასრულდა, რომლის შემდეგაც დონეცკელები კიევის „დინამოს" უკვე 3 ქულით ჩამორჩებიან და ბოლო ტურში გაჩემპიონების მიზერული შანსიღა აქვთ. ქვეყნის თასი კი „შახტარმა" უკვე წააგო იმავე „დინამოსთან". ბოლო დროინდელმა წარუმატებლობებმა კი კლუბის ხელმძღვანელობას ახალი სპეციალისტის მოწვევა გადააწყვეტინა და არჩევანიც შუსტერზე გაკეთდა. შეგახსენებთ, რომ წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ახლა მწვრთნელად მომუშავე გერმანელი, ამჟამად ესპანეთის სეგუნდადივიზიონის „ხერესის" თავკაცია. ბოლო ორ სეზონში შუსტერი და „ხერესი" პრიმერადივიზიონში აღზევებასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ ორჯერვე ხელი მოეცარათ.

**რუმინეთის** ნაკრებისა და „აიაქსის" 22 წლის ფეხბურთელმა კრისტიან კივუმ სულ მალე შეიძლება „ინტერის" მაისურა მოირგოს. ყოველ შემთხვევაში მილანურმა კლუბმა პირველმა მოიპოვა კივუსთან კონტრაქტის გაფორმების უფლება. როგორც მოგეხსენებათ კივუს გადაბირება ესპანურ გრანდებსაც სურდათ. თუმცა „აიაქსის" ხელმძღვანელობის თქმით მადრიდის „რეალი" ბოლო ხანებში მათ აღარ შეხმიანებია. ხოლო მას შემდეგ რაც „ბარსელონას" პრეზიდენტად ხუან ლაპორტა აირჩიეს, რომელიც არ იყო რუმინელით დაინტერესებული, კატალონიური ვარიანტიც გამოირიცხა. გარდა ამისა ამსტერდამული კლუბის უფროსობამ აღნიშნა, რომ კივუ ნამდვილად ველარ მოხვდება „მილანში". „ინტერი" ასევე „არსენალის" შემტევი ნახევარმცველით შვედი ფრედი ლიუნგბერგითაც არის დაინტერესებული და მის სანაცვლოდ „მეთოფეებს" სერჟიუ კონსეისაუსთან ერთად გარკვეულ თანხას სთავაზობს.

**იტალიური** ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა ჯუზეპე სინიორი თავის ახლანდელ კლუბთან ანუ „ბოლონიასთან" კონტრაქტის 1 წლით გახანგრძლივებას აპირებს. კლუბის პრეზიდენტს რენატო ჩიპოლინის, აქციონერთა საბჭოს თავმჯდომარეს ჯუზეპე გაძონისა და თავად „ბეპეს" შორის შეხვედრა ცოტა ხნის წინ შედგა. შეგახსენებთ, რომ 35 წლის სინიორიმ სერია A-ში (ჯერჯერობით) 167 გოლი გაიტანა და სამჯერ გახდა ჩემპიონატის ბომბარდირი. იტალიის ნაკრებში ჩატარებულ 28 მატჩში კი მის ანგარიშზე 7 ბურთია.

**ესპანური** „მალაგას" პრეზიდენტის სერაფინ როლდანის განცხადებით, იგი აღარ გაუგრძელებს კონტრაქტს კლუბის ამჟამინდელ მწვრთნელს 67 წლის ხოაკინ პეირო ლუკასს. „იმედი მაქვს არ ვცდები. ამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა, მაგრამ რამდენიმეკვირიანი ფიქრის შემდეგ ვთვლი, რომ უმჯობესია მან კლუბში მუშაობა ამ სეზონის ბოლოს დაასრულოს" — განაცხადა სერაფინ როლდანმა. ხოლო როგორც შემდგომში გაირკვა ამ უკანასკნელის აზრს არ ეთანხმება თავად პეირო ლუკასი, რომელმაც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვა.

**ინგლისური** „ევერტონის" 26 წლის გოლკიპერმა რიჩარდ რაიტმა უაზრო ვითარებაში ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ მომავალი სეზონის დებიუტს გამოტოვებს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ბრაზილიელი ემერსონიც, რომელიც იმიტომ ვერ გახდა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, რომ ერთ-ერთი ვარჯიშზე ხუმრობით კარში ჩადგა და მხარი იღრძო. აგრეთვე აღსანიშნავია სანტიაგო კანისარესი, რომელმაც ასევე გამოტოვა 2002 წლის მუნდიალი, რადგანაც ოდეკოლონი გაუვარდა და ფეხი გაეჭრა. მართალია, რიჩარდ რაიტი მხოლოდ მომავალი სეზონის მოსამზადებელ პერიოდს (უკიდურეს შემთხვევაში პირველ რამდენიმე მატჩს) გამოტოვებს, მაგრამ ტრავმა მანაც კომიკურ სიტუაციაში მიიღო — იგი საკუთარი სახლის ზედა სართულიდან ჩამოვარდა და მხარი იღრძო.

# ჯენარომ, ჯერ არაო

## გატუზომ მანჩესტერს მოუბოდიშა

## კაფუს მილანისთვის ყველაფერი უნდა





ჯენარო გატუზომ კარლო ანჩელოტი არ მიატოვა, კაფუ კი „მილანის“ ერთგულებას საქმით დაამტკიცებს

ჯენარო გატუზო „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიყავსო, მაგრამ თავად მილანელმა სხვანაირად თქვა. მისი განცხადებით, მანჩესტერელებთან მართლაც ჰქონდა საუბარი, თუმცა ამ ხაფხუფს მაგ საქმიდან არაფერი გამოვა.

„რამდენიმე თვის წინ პრემიერლიგაში გადასვლაზე სიამოვნებით ვფიქრობდი, მრავალთა აზრით „იუნაიტედთან“ მოგვარებულიც მქონდა საქმე, მაგრამ ყველა დიადი კლუბისადმი პატივისცემის მიუხედავად, გასულ სეზონში მიღწეული სიმაღლეების შემდეგ „მილანიდან“ ვერსად წავალ. ის, რაც მოხდა, არასდროს დამავიწდება, ხოლო ერთ ადამიანს მუდამ უნდა ვუმადლოდე. ეს კაცი კარლო ანჩელოტია, რომელიც მუდმივად მირჩევდა რა და როგორ მეკეთებინა. ჩემი ოსტატობა მისი წყალობით ამაღლდა“ — თქვა ნახევარმცველმა, რომლისთვისაც ბრიტანეთში გადასვლა ახალ ტერიტორიათა დაპყრობას არ ნიშნავს, რადგან სიჭაბუკეში რამდენიმე წელიწადი „გლაზგო რეინჯერსში“ გაატარა.

და „მილანში“ დარჩენილ გატუზოს უახლოეს ხანს ახალი თანაგუნდელის, ბრაზილიელი მარკოს კაფუს მხარდამხარ თამაშის სწავლა მოუწევს. კაფუ, მოგეხსენებათ, ყმაწვილი კარგა ხანია აღარ არის, 33 წლის გახლავთ, მაგრამ ასაკის მიუხედავად დიდ გეგმებს სახავს, ამბობს, რომ იმ ექვსივე შეჯიბრებაში სურს გამარჯვება, რომლებშიც მომდევნო სეზონში „შავ-წითლები“ გამოვლენ.

„ექვსივე ჯილდოს მოპოვებას ვოცნებობ — უთხრა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გაზეთ „კონტრკამპოს“ — „რომაში“ რამდენიმე მნიშვნელოვანი და საუცხოო წელიწადი გავატარე. ეს წლები ბრწყინვალე იყო, როგორც მოედანზე, ასევე მოედნის მიღმაც, ვერასდროს დავივიწყებ რამხელა ბედნიერება მომანიჭა იტალიის ჩემპიონობამ 2001 წელს, ჩემი გონებიდან არასდროს ამოვა ქომაგთა სიხარული, მაგრამ ამიერიდან მთელ ჩემს ყურადღებას „მილანს“ ვაპყრობ, სადაც, რასაც კარლო ანჩელოტი მეტყვის, იმას გავაკეთებ. თუ საჭირო იქნება, სათადარიგოდ დავჯდები, მიუხედავად იმისა, რომ ამის თავიდან ასაცილებლად ძალიან ბევრს ვიმუშავებ“.

ხოლო, რაც შეეხება ექვს ჯილდოს, მარჩიელობა რომ არ დაგვჭირდეს, ჩამოვთვალოთ: სკუდეტო, იტალიის თასი, ჩემპიონთა ლიგა, იტალიის სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი და ევროპის სუპერთასი.

კაფუს ყოფილი გუნდი „რომა“ კი, როგორც ჩანს, „კიევოსგან“ ნიკოლა ლეგროტალიეს იყიდის.

„ჩვენ გაყიდვა გვსურს, „რომას“ — ყიდვა“ — ბრძანა ვერონელთა შეფმა ლუკა კამედელიმ და ამ ნათქვამით, თითქოსდა, ბოლო ექვსი თვის ამბავი ჯამდება. ექვსი თვეა ლეგროტალიეს „რომაში“ გადასვლა იტალიურ სატრანსფერო ცხოვრების ერთ-ერთი თემაა, მაგრამ აქამდე გაჯანჯლდა. „კიევოს“ რომაელთაგან, ყმაწვილი დანიელე დელ როსი და ფული უნდა, თუმცა 19 წლის დელ როსის გარეშეც ყველაფერი მოგვარდება.

„დელ როსი [illegible], თუმცა გარიგება მის გაუთვალისწინებლადაც შედგება. ვიცი, ჩემმა სპორტულმა დირექტორმა მირჩია, რომ ამ უნიჭიერესი ყმაწვილის ხელიდან გაშვება არ ღირს, მაგრამ ამ ეტაპზე უფრო ფინანსური ასპექტი მაინტერესებს. გააჩნია, „რომა“ ლეგროტალიეს სანაცვლოდ რას შემომთავაზებს“ — დასძინა კამედელიმ.

ამბობენ, „რომა“ ფულს პლუს ტრიანიოს დელასს შესთავაზებსო, რაზეც „კიევოს“ ბოსი მაინცდამაინც წინააღმდეგი არ უნდა იყოს.

„მცველის მცველით შეცვლა ცუდი იდეა არ არის“ — ამბობს ის.

თავად ლეგროტალიეც მოხიბლულია „რომაში“ გადასვლის პერსპექტივით და აცხადებს, რომ ჭორებს „იუვენტუსთან“ დაკავშირებით ასეთი სიხარულით არ ხვდებოდა.

რაც შეეხება სერია A-ს წვრილფეხობას, მასზე ასეთი ცნობები გვაქვს: ცნობილი მწვრთნელი, 64 წლის ჯიჯი ანუ ლუიჯი სიმონი „ანკონაში“ რჩება და „ნაპოლიში“ არ გადადის. ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ სიმონის და ნეაპოლს ძალიან დაბეჯითებით ახსენებდნენ ერთად.

„ოფიციალურად ვაცხადებ, რომ „ანკონაში“ ვრჩები“ — თქვა სპეციალისტმა, რომელმაც ეს გუნდი ისტორიაში მეორედ შეუერთა სერია A-ს, მანამდე კი 70-იანი წლების „ჯენოასა“ და 90-იანების „კრემონეზეში“ მუშაობით გაითქვა სახელი. ეს სწორედ ის ჯიჯი სიმონია, რომელმაც „ინტერს“ 1997 წელს უეფას თასი მოაგებინა, თუმცა ჩემპიონი ვერ გახადა, ცოტა დააკლდა.

სერია B-ს გიგანტს, „ნაპოლის“ კი მწვრთნელი ჰყავს მოსაძებნი — ფრანკო კოლომბა „რეჯინაში“ წაუვიდა.

**პაპუნა ძიძია**

# ახლა რივერი

## არგენტინა

### კლაუსურა

**მე-16 ტური: უნიონი — ინდეპენდიენტე 0:1; რასინგი — ველესი 2:2; ნუევა ჩიკაგო — როსარიო 0:3; ოლიმპო — კოლონი 0:0; ბანფილდი — ტალიერესი 1:0; ოლდ ბოიზი — ესტუდიანტესი 0:0; ბოკა ხუნიორსი — არსენალი 2:2; სან ლორენსო — ურაკანი 4:0; ლანუსი — რივერ პლეიტი 3:4; ხიმნასია — ჩაკარიტა 1:0**

**ბოლო თვეს** არგენტინის კლაუსურაში წარამარა ლიდერი იცვლება. ორი ტურის წინ პირველ ადგილზე „ველეს სარსფილდი“ იყო, წინა ტურში „ბოკა ხუნიორსი“, ახლა კი პირველ საფეხურზე „რივერ პლეიტი“ აღმოჩნდა, რომელიც ქულით უსწრებს „ბოკას“ და ორი ქულით „ველესს“.

ამ ორმა, „ბოკამაც“ და „ველესმაც“, ერთნაირი ანგარიშით დაასრულეს თავიანთი მატჩები. შესაბამისად „არსენალთან“ და „რასინგთან“ — 2:2 — და ორივენი ორ-ორი ბურთით აგებდნენ ამ მატჩებს. ძნელი თამაში ჰქონდა „რივერსაც“, რომელმაც 4:3 მოუგო „ლანუსს“. ამ მატჩის პირველ ნახევარში ხუთი გოლი გავიდა და ერთი პენალტი გაფუჭდა. 22 წუთის თავზე უკვე სამი გოლი გასულიყო: ანგარიში თავიდანვე „ლანუსის“ სასარგებლოდ იყო არიელ გარსეს ავტოგოლის წყალობით, მერე ფერნანდო კავენაგიმ გაათანაბრა, მაგრამ ნელსონ ბენიტესმა კვლავ „ლანუსი“ დააწინაურა. 26-ე წუთზე ესტებან ფუენტესმა პენალტი ვერ გაიტანა და „ლანუსი“ კიდევ თერთმეტ წუთს იყო წინ, თუმცა, ფუენტესმა მაინც გაიტანა გოლი, რასაც პირველი ტაიმის მიწურულს ლუის გონსალესის მესამე მოჰყვა. იმავ ფუენტესმა კი მეორე ტაიმის დასაწყისში ორი ბურთით დააწინაურა „რივერი“. უგო მორალესმა ერთი საპასუხო გატანაღა შეძლო 80-ე წუთზე, თუმც მალევე გააძევეს მინდვრიდან.

„ბოკა“ „არსენალს“ მასპინძლობდა და რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც დაასვენა ლიბერტადორესის თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩის წინ, რაც „არსენალმა“ კარგად გამოიყენა და მთელ თამაშს ორი ბურთის სხვაობით იგებდა. კარლოს ბიანკიმ ბოლოს მაინც შეუშვა მინდორზე კარლოს ტევესი და როლანდო სკიავი, რომლებმაც ბოლო შვიდ წუთში თითო გოლი გაიტანეს და „ბოკას“ ქულა უშოვნეს.

დიეგო მილიტოსა და სიკსტო პერალტას გოლებით „რასინგიც“ უგებდა „ველესს“. მაგრამ რობერტა ნანიმ ორი პენალტი გაუტანა მასპინძლებს. აქვე მოგახსენებთ, რომ ბოლო ათ წუთს „ველესმა“ ცხრა კაცით იბრძოლა, რადგან მაკსიმილიანო პელეგრინო და ვალტერ ალკარესი გააძევეს.

ამასობაში, კარლოს ბილარდოს ხელქვეით ზედიზედ მეხუთე ფრე მოახერხა „ესტუდიანტესმა“, „ინდიპენდიენტემ“ კი პირველად მოიგო ოსკარ რუჯერის მწვრთნელობისას და 32 წუთში პირველი გოლიც გაიტანა, თანაც გასვლით მატჩში.

კლაუსურას დასრულებამდე სამი ტურიღა დარჩა.



რომ არა კარლოს ტევესი, „ბოკა“ უქულოდ დარჩებოდა

### ონორიო ბუსტოს დომეძი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 16 | 11 | 4 | 1 | 37:15 | 37 |
| ბოკა ხუნიორსი | 16 | 11 | 3 | 2 | 30:12 | 36 |
| ველესი | 16 | 11 | 2 | 3 | 26:10 | 35 |
| როსარიო | 16 | 8 | 6 | 2 | 29:16 | 30 |
| ოლიმპო | 16 | 7 | 4 | 5 | 20:15 | 25 |
| ნუევა ჩიკაგო | 16 | 6 | 5 | 5 | 25:24 | 23 |
| სან ლორენსო | 16 | 6 | 4 | 6 | 22:25 | 22 |
| ხიმნასია | 16 | 6 | 4 | 6 | 19:23 | 22 |
| რასინგი | 16 | 5 | 6 | 5 | 20:19 | 21 |
| ლანუსი | 16 | 6 | 3 | 7 | 23:26 | 21 |
| კოლონი | 16 | 4 | 8 | 4 | 14:13 | 20 |
| ესტუდიანტესი | 16 | 4 | 7 | 5 | 16:17 | 19 |
| ოლდ ბოიზი | 16 | 4 | 7 | 5 | 19:22 | 19 |
| არსენალი | 16 | 3 | 9 | 4 | 10:11 | 18 |
| ინდეპენდიენტე | 16 | 4 | 6 | 6 | 12:20 | 18 |
| უნიონი | 16 | 4 | 5 | 7 | 17:20 | 17 |
| ტალიერესი | 16 | 4 | 4 | 8 | 17:22 | 16 |
| ბანფილდი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:20 | 16 |
| ჩაკარიტა | 16 | 2 | 4 | 10 | 8:19 | 10 |
| ურაკანი | 16 | 1 | 3 | 12 | 11:40 | 6 |



# ბალაკი აზრზე მოდის

*„ბაიერნის“ გამთამაშებელ-მეგოლე მიხაელ ბალაკი და მისი ჯალაბი სარდინიაში, პორტოჩერვოში ისვენებენ.*

*ამ ფოტოზე იმას ხედავთ, თუ როგორ ნყვილად მიფიცხებიან მცხუნვარე ხმელთაშუაზღვისპირულ მზეს ბალაკი და მისი გულისვარდი სიმონე.*

*კაცი იფიქრებს, ამათ ყველაფერი სულ თავიანთ სიყვარულზე ჰკიდიათო. მაგრამ ეგრეც არ არის: მათი სიყვარულის ნაყოფები — 20 თვის ლუისი და 9 თვის ემილიო სადღაც იქვე ქვიშაში ბუყლაობენ და ამიტომაც მიხაელი და სიმონე სადაც საჭირო იქნება, იქ დაასტოპებენ.*

*აი, ეგრე.*

*პორტოჩერვო კი ფანტასტიკაა და იქ დასვენებული კაცი (და ქალიც) თავის საქმეს ალბათ სრულიად აზრზემოსული და აღზევებული დაუბრუნდება.*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# მიეცით კლუბებს გზა ფართო

## G14-ის რუხი კარდინალი



*45 წლის შვეიცარიელი თომას კურტი G 14-ის გენერალური მდივანია. ხოლო რასაც წარმოადგენს თავად G 14, კარგად მოგეხსენებათ. სხვათა შორის, თომას კურტი თვითონ გახლავთ G 14-ის გამარჯვება უეფაზე. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ სამი წლის წინ კურტი უეფას დიდმოხელე იყო და G 14-ის მიერ მისი გადაბირება ამ ორგანიზაციის ძალაზე მიგვანიშნებს.*

*დღეს G 14-ის ხელში თავმოყრილა ევროპის უმდიდრესი და უდიდესი კლუბების ფინანსური ბერკეტები, ხოლო თომას კურტი, „რუხი კარდინალი“, ევროპული ფეხბურთის მომავალზე პასუხისმგებელი პიროვნებაა. ამიტომაც უინტერესო არ უნდა იყოს ფეხბურთის განვითარებაზე მისი მოსაზრებები.*

**— მაინც რა არის G14? პრესაში მისი განსაზღვრების დიაპაზონი „ლობისტური დაჯგუფებიდან“ „მაფიოზურ კარტელამდე“ მერყეობს. თავად როგორ განსაზღვრებას შემოგვთავაზებთ?**

— ალბათ, უფრო მართებული განსაზღვრება „ლობია“. G14 კლუბების გაერთიანების და საკუთარი ინტერესების დაცვის მცდელობაა.

**— ინტერესების დაცვა ახსენეთ. თუ დასაცავად გაქვთ საქმე, ესე იგი, მტრები გყავთ. ვინ არიან ისინი, ფიფა და უეფა?**

— G14-ის და ამ პატივცემული ორგანიზაციების ბარიკადების სხვადასხვა მხარეს დაყენება საჭირო არ არის. საერთოდ ბარიკადების აგებაც არ არის საჭირო. ჩვენ თანამშრომლობის მომხრე ვართ. საქმე ის არის, რომ ფიფა და უეფა მაშინ დაარსდა, როცა ფეხბურთში სულ სხვა რეალობა იყო. ისინი ეროვნულ ფედერაციებს ეყრდნობიან და თითქმის არ ითვალისწინებენ კლუბების სურვილებს. დამაფიქრებელი ფაქტია: უეფას აღმასკომში კლუბების ერთი წარმომადგენელიც კი არ არის. არადა, ახლანდელ რეალობაში საფეხბურთო ბაზრის მთავარი წარმმართველ ძალას სწორედ კლუბები წარმოადგენენ.

ერთი სიტყვით, დრო შეიცვალა და ფიფასა და უეფასაც თავისი მუშაობის პრინციპების შეცვლა მართებთ. ეს ჩვენი ახირება კი არა, დროის მოთხოვნაა. საბოლოოდ ჩვენს პოზიციას ასე ჩამოვაყალიბებდი: ჩვენი მიზანია, კლუბებმაც მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც პირდაპირ ახდენს გავლენას მათსავე საქმიანობაზე.

**— სხვა სიტყვებით, თქვენ გსურთ, რომ ფიფამ და უეფამ ძალაუფლება გაგიყონ? და რა მოხდება, თუ ისინი ამაზე არ დათანხმდებიან? ბევრჯერ მომხდარა, რომ თქვენ რომელიმე საკითხზე ვერ შეთანხმებულხართ. რამდენად დიდია იმის შანსი, რომ დაპირისპირება აშკარა, ღია კონფრონტაციაში გადაიზარდოს, რის პასუხადაც თქვენ ალტერნატიულ სუპერლიგას შექმნით?**

— სუპერლიგის თაობაზე ყოველ ინტერვიუში მეკითხებიან და მეც ერთი და იგივეს გამეორება მიწევს: ჩვენს მიზნებში ჩემპიონთა ლიგის ალტერნატიული შეჯიბრების ორგანიზება არ შედის. მეტიც, დღეისთვის მე სავსებით მაკმაყოფილებს ის, თუ როგორ ვითარდება თანამშრომლობა ჩვენსა და უეფას შორის. ასევე დავძენ, რომ ეროვნული ფედერაციებიც ნელ-ნელა ეგუებიან ახალ რეალობას, რისი დასტურიცაა ბევრ ქვეყანაში შექმნილი პროფესიული ლიგები, სადაც კლუბები თავად ატარებენ ეროვნულ ჩემპიონატებს.

**— ამბობთ, რომ მშვიდობის მოსურნე ორგანიზაცია ხართ. მაგრამ ფიფას მიმართ გამოთქმული უკმაყოფილება ნაკრებში ფეხბურთელების მიწვევის თაობაზე, ულტიმატუმს უფრო ჰგავდა...**

— სანაკრებო თემა ჩვენთვის პრინციპული საკითხია. ჩვენ არანაირი პრეტენზია არ გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს, როცა ფეხბურთელს ოფიციალურ სანაკრებო მატჩზე იწვევენ. მაგრამ ამასთანავე ჩვენ ვეწინააღმდეგებით საერთაშორისო კალენდრის ათასგვარი საეჭვო ტურნირითა და უაზრო ამხანაგური მატჩებით გადატვირთვას. მაგალითად, ვის სჭირდება კონფედერაციათა თასი ან ჩინეთი — ბრაზილიის ყოვლად სულელური ამხანაგური შეხვედრა? წარმოიდგინეთ, გაგანია სეზონის დროს საუკეთესო ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა 20-20 საათი უნდა იფრინონ ჩინეთში ჩასასვლელად, მხოლოდ იმიტომ, რომ ფედერაციის რომელიღაც ჩინოვნიკს ფულის შოვნა მოუნდა. ეს დაუშვებელია და აღარ უნდა განმეორდეს.

**— დღეისთვის G14 მხოლოდ დასავლეთ ევროპის კლუბებს აერთიანებს. აღმოსავლეთისკენ გაფართოება და ვთქვათ, კიევის „დინამოს“, პრაღის „სპარტას“ ან „გალათასარაის“ მიღება არ შედის თქვენს გეგმებში?**

— ჩვენ ყველასთან ვითანამშრომლებთ, ვისაც კი ამის სურვილი ექნება. ბოლოს და ბოლოს, აღმოსავლეთ ევროპაც ხომ ევროპაა.

**— ბოლო ათ წელიწადში ფეხბურთში უამრავი რამ შეიცვალა: ჩემპიონთა ლიგის დაარსება, „ბოსმანის წესი“, სატრანსფერო წესების ევროკავშირის იურისტთა მიერ რედაქტირება, ფეხბურთში დიდი ბიზნესის ინტერვენცია. თქვენთვის ეს ცვლილებები მისაღები იყო თუ მიუღებელი?**

— ბიზნესი არ შეჭრილა ფეხბურთში. თავად ფეხბურთმა განიცადა ევოლუცია და ბიზნესად იქცა. და ეს მარტო ფეხბურთს არ ეხება, მთლიანად სპორტი შევიდა ბიზნესის ზონაში. მოდით, საგნებს უფრო გლობალურად შევხედოთ: მედიური ტექნოლოგიების განვითარებამ და აუდიტორიის სპორტული სანახაობებით დაინტერესების ზრდამ ფეხბურთი სულ სხვა განზომილებაში გადაიყვანა. გაიზარდა ტელეტრანსლირების ღირებულება, ფეხბურთში შემოსავლის ახალი წყაროები გაჩნდა. და ბიზნესი რა არის? როცა ფული ადგილმდებარეობას იცვლის და ერთი ჯიბიდან მეორეში გადადის, ეს ბიზნესია. ამგვარად, ფეხბურთი აღარ არის მხოლოდ თამაში, რომლის მიზანიც მოთამაშეთა და მაყურებელთა დაკმაყოფილებაა, ფეხბურთი ეკონომიკის დარგად იქცა. აქედან გამომდინარე კი, ბუნებრივია, რომ ის არსებულ შრომის და ეკონომიკურ კანონმდებლობას უნდა დაქვემდებარებოდა. ანუ „ბოსმანის წესი“ და ევროკავშირის ჩარევა გარდაუვალი პროცესი იყო, მიუხედავად იმისა, ეს ვინმეს მოსწონს თუ არა.

**— დიდი ფეხბურთი დიდ ბიზნესად იქცა და დღეს ეს ბიზნესი კრიზისშია. ბევრი კლუბი გაკოტრდა, უფრო ბევრი, წამგებიანია, მათ შორის, G14-ში შემავალი კლუბებიც...**

— ბოლო ხანს ცვლილებები იმდენად სწრაფად მოხდა, რომ კლუბებმა ფეხი ვერ აუწყვეს. ახლა კლუბები ვალდებულები არიან, ფეხბურთს უფრო კომპლექსურად შეხედონ. რისი თქმა მინდა: კლუბები მიჩვეულები იყვნენ, მთელი ძალისხმევის თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაზე და შეჯიბრებების მოგებაზე მიემართათ. მაგრამ სპორტული კანონი გვამცნობს, რომ მონაწილე ბევრია, გამარჯვებული კი ერთი. ამიტომაც ყველა ვერ ახერხებს ჩადებული ინვესტიციიდან მაქსიმალური სარგებლის ნახვას. ამასთანავე კლუბები მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებზეც დამოკიდებულები არიან და მსოფლიო ბაზარზე რეკლამის ფასის დაცემამ ისინიც დააზარალა. სამწუხაროდ, კლუბებს ოპერატიული ზომების მიღების საშუალება არ გააჩნიათ, რადგან გრძელვადიანი კონტრაქტებით არიან შეკრულები ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან და ვალდებულები არიან, ადრევე განსაზღვრული ხელფასები სრულად გადაუხადონ. პრობლემების არსიც ესაა.

**— ზოგი ფიქრობს, რომ ფეხბურთი საეჭვო ბიზნესია და ნებისმიერ დროს შეიძლება საპნის ბუშტივით გასკდეს...**

— სისულელეა. ფეხბურთის უკან მილიონობით გულშემატკივარი დგას, კლუბების უკან კი ასწლოვანი ისტორია. ჰოდა, როგორ შეიძლება ეს ყველაფერი საპნის ბუშტს შევადაროთ? საფეხბურთო ბიზნესს, მსოფლიო ეკონომიკაში არსებული პრობლემების მიუხედავად, ზრდის უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. ეს ჩემი პირადი აზრი არ გახლავთ, ავტორიტეტული ანალიტიკოსების დასკვნაა.

**— რაში მდგომარეობს .ეს პოტენციალი?**

— პირველი მედიისა და ტექნოლოგიური პროგრესია, რაც საშუალებას გვაძლევს საფეხბურთო პროდუქციის სულ ახალ-ახალი მომხმარებლები მოვიზიდოთ. მეორე სხვა კონტინენტების საბაზრო შესაძლებლობების ათვისებაა. „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ გაიხსენეთ. ისინი უკვე შეიჭრნენ აზიურ ბაზარზე, რომლის მხოლოდ უმცირესი წილი გვაქვს ათვისებული.

**— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ევროპული ფეხბურთი თავისი იდეით სულ უფრო და უფრო უახლოვდება ჩრდილოამერიკულ პროფესიულ ლიგებს, როგორებიცაა ნბა და ნჰლი, სადაც ბიზნესი სპორტზე მნიშვნელოვანია?**

— ასე არ ვფიქრობ. წმინდა ეკონომიკურ ფაქტორებზე აგებული „დახურული ლიგების“ ამერიკული მოდელი ევროპისთვის მიუღებელია და ყოველთვის ასე იქნება. ჩვენი ფეხბურთის ამოსავალი პრინციპი ლიგებს შორის გუნდების როტაციის სისტემაა, სადაც დაბალ ლიგაში მოთამაშე ღარიბ კლუბსაც აქვს კენწეროზე ასვლის შანსი. ამასთანავე, ევროპაში კლუბები ყოველთვის ითამაშებენ რამდენიმე ტურნირში, ეროვნულშიც და საერთაშორისოშიც. ევროპული სპორტი უფრო ტრადიციების მიმდევარია. პირადად მე უამრავ კლუბის პრეზიდენტებს ვიცნობ, რომლებისთვისაც მაქსიმალურ ფინანსურ მოგებაზე მნიშვნელოვანი სპორტული შედეგია. ჩვენთან, ევროპაში სულ სხვა სოციალურ-კულტურული აზროვნებაა და ამერიკანიზაცია არ გვემუქრება.



# ნუნო ორი წლით გაჩაფრდა

„მე ვემშვიდობები „პორტუს“, საოცარ გუნდს, სადაც რამდენიმე ფანტასტიკური სეზონი გავატარე. ახლა კი ახალი თავგადასავლები მელის“ — თქვა წლევანდელი უეფას თასის მფლობელმა ნუნუ კაპუშუმ და გლაზგოს გზას დაადგა. შოტლანდიის მთავარ ქალაქში 31 წლის პორტუგალიელს ალექს მაკლიში და მისი „რეინჯერსი“ ხელგაშლილი და ორწლიანი კონტრაქტით დახვდა.

ნუნუ კაპუშუ და „პორტუ“ მართლაც საოცარი სეზონით დაიკვეხნიან — ქვეყნის ჩემპიონობა, თასი და უეფას თასი, აი, ჟოზე მაურინიუს და მისი შეგირდების შთამბეჭდავი მონაგარი, ამ წარმატებაში კი აწ უკვე რეინჯერსელი ნუნუს წვლილი ფასდაუდებელია.

სწორედ უეფას თასის ფინალური მატჩისას მოუვიდა თვალში ალექს მაკლიშს „პორტუს“ ნახევარმცველი და „აიბროქსზე“ მის ჩასაყვანად არაფერი დაიშურა, მათ შორის, მილიონი ევრო, რომლის საფასურადაც შეელია „პორტუ“ გამოცდილ კაპუშუს.

„პორტუმდე“ კაპუშუს „ჟილ ვისენტეში“, „გიმარაეშში“ და „სპორტინგში“ უთამაშია. ექვსი წლის წინ კი პორტუელი გახდა და მის შემადგენლობაში პორტუგალიაში სამჯერ იჩემპიონა, ხუთ-ხუთჯერ კი ქვეყნის თასსა და სუპერთასს დაეუფლა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელად ლუიშ ფელიპე სკოლარის დანიშვნის მერე, კაპუშუს სანაკრებო კარიერა, ფაქტობრივად, დასრულდა და ვინძლო მისი შოტლანდიაში აბარგებაც ამ გარემოებამაც განაპირობა. სკოლარიზე და ნაკრებზე ნუნუს სიტყვაც არ დასცდენია, ახალ კლუბზე კი თქვა: „რეინჯერსი“ უმაღლესი კლასის გუნდია, მიხარია, რომ აქ ვითამაშებ და გლაზგოელებთან ერთად ჩემპიონთა ლიგასაც დავაჭაშნიკებ, ორი წელი გლაზგოში? ჩინებულია!“

**ქახა ხურციძე**

### შვედეთი

X ტური

აიკ 0:2 ჰელსინგბორგი

ენკიოპინგი 1:1 ელფსბორგი

გიოტებორგი 4:0 იორებრო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 10 | 7 | 1 | 2 | 25:7 | 22 |
| ჰამარბი | 10 | 6 | 4 | 0 | 16:8 | 22 |
| აიკ | 10 | 6 | 2 | 2 | 20:11 | 20 |
| ჰელსინგბორგი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:12 | 17 |
| იორებრო | 10 | 5 | 1 | 4 | 15:16 | 16 |
| ჰალმსტადი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:12 | 14 |
| ელფსბორგი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:17 | 13 |
| გიოტებორგი | 10 | 3 | 3 | 4 | 16:11 | 12 |
| მალმიო | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 12 |
| იორგრიტე | 10 | 3 | 2 | 5 | 12:18 | 11 |
| სუნდსვალი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:14 | 9 |
| ლანდსკრონა | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| იოსტერი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:18 | 8 |
| ენკოპინგი | 10 | 1 | 2 | 7 | 8:22 | 5 |

### ნორვეგია

X ტური

ვოლერენგა 3:0 ბრინი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 10 | 9 | 1 | 0 | 28:5 | 28 |
| სტაბეკი | 10 | 5 | 3 | 2 | 17:11 | 18 |
| ბოდიო გლიმტი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:10 | 18 |
| ვიკინგი | 10 | 4 | 5 | 1 | 18:11 | 17 |
| სოგნდალი | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 17 |
| ლინი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:17 | 15 |
| ოდ გრენლანდი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:21 | 14 |
| ბრინი | 10 | 4 | 0 | 6 | 20:17 | 12 |
| ვოლერენგა | 10 | 3 | 3 | 4 | 13:12 | 12 |
| მოლდე | 10 | 3 | 2 | 5 | 11:16 | 11 |
| ლილესტრიომი | 10 | 2 | 5 | 3 | 9:15 | 11 |
| ბრანი | 10 | 1 | 4 | 5 | 10:22 | 7 |
| ალესუნდი | 10 | 0 | 5 | 5 | 12:19 | 5 |
| ტრომსიო | 10 | 1 | 2 | 7 | 14:27 | 5 |


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური

**21 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | რაიო-უელვა | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 24.00 | 002 | რასინგი-ოსასუნა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**22 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 003 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.00 | 004 | მალიორკა-მალაგა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 22.00 | 005 | სევილია-ვალენსია | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 006 | ვილიარეალი-ბეტისი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 007 | ალავესი-ვალიადოლიდი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 24.00 | 008 | ბარსელონა-სელტა | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| 24.00 | 009 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 24.00 | 010 | რეალი-ბილბაო | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |

### დანია. XXXII ტური

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 026 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| 22.00 | 027 | ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.00 | 028 | აკადემისკი-ფარუმი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| 22.00 | 029 | ოდენსე-სილკებორგი | 1,75 | 3,6 | 3,8 | 1,17 | 1,19 | 1,84 |
| 22.00 | 030 | ვიბორგი-კოგე | 1,4 | 4,4 | 6,5 | 1,06 | 1,15 | 2,62 |
| 22.00 | 031 | ორჰუსი-ესბიერგი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |

### რუსეთი. XIV ტური

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 038 | ზენიტი-მეტალურგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 039 | ზენიტი-მეტალურგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 040 | დინამო-ჩერნომორეცი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 041 | დინამო-ჩერნომორეცი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 042 | ტორპედო-ალანია | 1,45 | 3,2 | 6,0 | 1 | 1,16 | 2,08 |
| 19.00 | 043 | ურალანი-ცსკა | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | შინიკი-კრილია | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 19.00 | 045 | სპარტაკი-სატურნი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 19.00 | 046 | რუბინი-როსტსელმაში | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 19.00 | 047 | როტორი-ლოკომოტივი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |

### შვედეთი. XI ტური

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 059 | ოსტერი-ორგრიტე | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |

### ფინეთი. VIII ტური

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 076 | იარო-ლაჰტი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.30 | 077 | იოკერიტი-ჰაკა | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 20.30 | 078 | ტამპერე-ჯაზი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 079 | ტამპერე-ჯაზი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 20.30 | 080 | ტურკუ-ალიანსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 081 | ჰიკ-კტპ | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 082 | ჰიკ-კტპ 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 20.30 | 083 | მიუპა-კუოპიო | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 084 | მიუპა-კუოპიო 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 085 | ჰაამეენლინა-ინტერი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |

### ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.40 | 110 | ინდეპენდიენტე-სანტოსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.10 | 111 | ამერიკა-ბოკა ხუნიორსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |

### კონფედერაციის თასი

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 112 | ახალი ზელანდია-იაპონია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 24.00 | 113 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 114 | თურქეთი-აშშ | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 24.00 | 115 | ბრაზილია-კამერუნი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

### კალათბურთი. ესპანეთი

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 603 | ბარსელონა-ვალენსია | 1,35 | 12,0 | 2,6 | 1,21 | 1 | 2,13 |

### კალათბურთი. საბერძნეთი

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 605 | აეკ-პანათინაიკოსი | 1,65 | 12,0 | 1,95 | 1,45 | 1 | 1,67 |

### კრივი

**21 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 607 | ლუისი-ვ.კლიჩკო | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |

### ინტერტოტოს თასი

**21 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 088 | ბანგორი(უელსი)-გლორია(რუმინეთი) | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 20.00 | 089 | ოდდ(ნორვეგია)-ტრანსი(ესტონეთი) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 20.00 | 090 | შახტიორი(ბელარუსი)-ომაგი(ჩრდ.ირლ.) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.00 | 091 | ბრნო(ჩეხეთი)-კოტაიკი(სომხეთი) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.00 | 092 | დინაბურგი(ლატვია)-ვილი(შვეიცარია) | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 21.00 | 093 | დუბნიცა(სლოვაკეთი)-ოლიმპიაკოსი(კვიპროსი) | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 21.00 | 094 | დაჩია(მოლდოვა)-გოტუ(ფარერები) | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.00 | 095 | პარტიზანი(ალბანეთი)-მაკაბი(ნეტანია/ისრაელი) | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 097 | სლავია(ბოსნია)-აკურეირი(ისლანდია) | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 098 | ეგერი(უნგრეთი)-ეთნიკოსი(კვიპროსი) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.00 | 099 | ოდრა(პოლონეთი)-შემროკი(ირლანდია) | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |

**22 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 100 | ენკამპი(ანდორა)-ლიერსი(ბელგია) | 14,0 | 6,0 | 1,15 | 4,19 | 1,06 | 1 |
| 19.00 | 101 | ქოლგორისი(ლიტვა)-იორგრიტე(შვედეთი) | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.30 | 102 | კოპერი(სლოვენია)-ზაგრები(ხორვატია) | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.30 | 103 | სუტიესკა(სერბეთი)-ენიოსი(ლუქსემბურგი) | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| 20.30 | 104 | ალიანსი(ფინეთი)-ბირკირკარა(მალტა) | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 21.00 | 105 | პაშინგი(ავსტრია)-ვიტ ჯორჯია(საქართველო) | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 21.00 | 106 | სპარტაკი(სლოვაკეთი)-პობედა(მაკედონია) | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 107 | ვიდეოტონი(უნგრეთი)-მარეკი(ბულგარეთი) | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 108 | პოლონია(პოლონეთი)-ტობოლი(ყაზახეთი) | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 22.00 | 109 | ტამპერე(ფინეთი)-ნაციონალი(რუმინეთი) | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |


## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

კრონოს უქმეებზე სამუშაო დრო გახანგრძლივდა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | |
| 21.00 | 2201 | ახალი ზელანდია-იაპონია | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2202 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,9 | 1,7 |
| | | 19 ივნისი | | |
| 22.00 | 2203 | თურქეთი-აშშ | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2204 | ბრაზილია-კამერუნი | 1,95 | 1,65 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | |
| 21.00 | 2301 | ახალი ზელანდია-იაპონია | 1,75 | 1,85 |
| 24.00 | 2302 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,8 | 1,8 |
| | | 19 ივნისი | | |
| 22.00 | 2303 | თურქეთი-აშშ | 1,7 | 1,9 |
| 24.00 | 2304 | ბრაზილია-კამერუნი | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | |
| 21.00 | 2401 | ახალი ზელანდია-იაპონია | 2.6 | 1.5 |
| 24.00 | 2402 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1.15 | [illegible] |
| | | 19 ივნისი | | |
| 22.00 | 2403 | თურქეთი-აშშ | 1,65 | 2.3 |
| 24.00 | 2404 | ბრაზილია-კამერუნი | 1,25 | 3.6 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | | | | | | | | |
| 21.00 | 2101 | ახ.ზელანდია-იაპონია | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 24.00 | 2102 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | 19 ივნისი | | | | | | | | | |
| 22.00 | 2103 | თურქეთი-აშშ | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 24.00 | 2104 | ბრაზილია-კამერუნი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | | |
| 21.00 | 2501 | ახალი ზელანდია-იაპონია | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 24.00 | 2502 | საფრანგეთი-კოლუმბია | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| | | 19 ივნისი | | | |
| 22.00 | 2503 | თურქეთი-აშშ | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 24.00 | 2504 | ბრაზილია-კამერუნი | 3.0 | 2,8 | 2.0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | | | | | |
| 21.00 | 2001 | ახალი ზელანდია-იაპონია | 4.8 | 2,15 | 2,2 | 1,48 | 1,5 | 1,08 |
| 24.00 | 2002 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,6 | 2.8 | 7,0 | 1,01 | 1,3 | 2 |
| | | 19 ივნისი | | | | | | |
| 22.00 | 2003 | თურქეთი-აშშ | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1.1 | 1,55 | 1,39 |
| 24.00 | 2004 | ბრაზილია-კამერუნი | 1.8 | 2,4 | 5,6 | 1.02 | 1,36 | 1,68 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწულის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

*660-დღიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები მომავალ ორშაბათს, 23 ივნისს, შეიკრიბება. ნუ გაიკვირვებთ, ორშაბათს ზუსტად ამდენი დღე შესრულდა 2001 წლის 2 სექტემბრის შემდეგ, როცა ჩვენმა ნაკრებმა ბოლო ოფიციალური მატჩი ითამაშა ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპზე აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ. მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობა მივიდა, რომელმაც ნაკრებში ახალი, უცხოელი მწვრთნელი მოიყვანა. ნაკრებიც თანდათან იქმნება, ორშაბათიდან ივლისის ბოლომდე მრავალი კანდიდატი გამოიცდება და არც ნბა-ს ქართველები დაგვაკლდება... ცინცხალი ამბავი კი ის გახლავთ, რომ ივლისის ბოლოს საქართველოს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს კიევის საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც ასევე ითამაშებენ უკრაინის, რუსეთისა და ბელარუსის ეროვნული გუნდები... ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანთან საუბარიც, ცხადია, სანაკრებო თემით დავიწყეთ...*



კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და ნაკრების მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი კონკრეტულ სანაკრებო გეგმას გვთავაზობენ

# უნაკრებობის 660 დღე

## ბესიკ ლიპარტელიანი: სტეფანიაც ჩამოვა, ცქიტიშვილიც, ფაჩულიაც...

— ნაკრების მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი შვებულებიდან ხვალ ჩამოვა და ორშაბათიდან შეკრებაც დაიწყება. ესაა მრავალმასშტაბიანი, გაცნობითი ხასიათის შეკრება, რომელშიც მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კალათბურთელები მიიღებენ მონაწილეობას. თანდათან ევროპის ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატები დასრულდება და ლეგიონერებიც შემოგვიერთდებიან. ასე, ივლისის შუა რიცხვებში, ალბათ, ის ძირითადი ბირთვი შეირჩევა, რომელსაც ნაკრები სამომავლოდ დაეყრდნობა. გამოძახებული ბევრია, თითქმის ყველა ის კალათბურთელი, რომლებიც მე-12 ეროვნულ ჩემპიონატში გამოირჩნენ. ისე კი, ნაკრების კარი ღიაა, ვისაც ამბიცია აქვს, მოვა, გაისინჯება და თუ დაამტკიცა თავის სიძლიერე, ვინაა უარის მთქმელი?

**— თქვით, ლეგიონერები თანდათან შემოგვემატებიანო, ნბა-ში მოთამაშე ქართველებიც იგულისხმეთ?**

— ნაკრების ხელმძღვანელების წინაშე უკვე აღარ დგას ვლადიმერ სტეფანიას ჩამოყვანის პრობლემა. ნიკა ცქიტიშვილიც ჩამოვა და დრაფტზე გასამგზავრებლად გამზადებული ზაზა ფაჩულიაც. სამივეს პირადად ველაპარაკე და გრაფიკებიც შევადგინეთ. მცირე პრობლემაა სტეფანიასთან დაკავშირებით. ივლისის ბოლომდე ნბა-ს რომელიმე კლუბთან თუ ახალი კონტრაქტი ვერ გააფორმა, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვერ ჩამოვა. მაგრამ ამის შანსი მხოლოდ 10 პროცენტია, კოვამ უკვე მიიღო ნბა-ს ორი გუნდიდან წინადადება, ერთწლიან კონტრაქტს თავაზობენ, მას კი მინიმუმ ორწლიანი უნდა. ეს გასაგებიცაა, სტეფანიას აქამდე ხომ თითქმის სულ ითითოწლიანი კონტრაქტები ჰქონდა და სურს, ხანგრძლივი ხელშეკრულებით გულდამშვიდებული წამოვიდეს ნაკრებში.

**— თითქმის 4 წელია სტეფანია საქართველოში არ ყოფილა. ნაკრებში ჩამოსვლაზე მისი დაყაბულება არაერთხელ სცადეს, მაგრამ ამაოდ. თქვენ როგორ მოახერხეთ ამ საქმის მოგვარება, რამე გარანტიებს ხომ არ დაპირდით სტეფანიას?**

— სტეფანიას იმ პრობლემებზე ვესაუბრე, რის გამოც იგი საქართველოში ჩამოსვლას უარობდა. მთავარი პრობლემა კონტრაქტისა და საქართველოში უსაფრთხოების გარანტიის უქონლობა იყო. თითქმის დარწმუნებული ვარ, სტეფანია კონტრაქტს ივლისის ბოლომდე გააფორმებს, რაც შეეხება უსაფრთხოების გარანტიას, ეს პრობლემა სტეფანიას ნამდვილად არ შეაწუხებს არც საქართველოში და არც სხვაგან. ამაზე პირადად ვაგებ პასუხს. კოვა არაა გაუგებარი კაცი, ყველაფერი შემითანხმა და ჩამოვალო, დამპირდა.

**— ცქიტიშვილის და ფაჩულიას ჩამოსვლა საბოლოოდ გადაწყვეტილია?**

— დიახ. „დენვერი" ნიკას 22 ივლისიდან ათავისუფლებს ერთი კვირით. შესაძლოა, ცქიტიშვილი თბილისშივე შეგვიერთდეს, თუ არადა, კიევში ჩამოვა საერთაშორისო ტურნირზე.

**— კიევის ტურნირზე გამგზავრება გადაწყვეტილია? აქამდე ხომ საბერძნეთში გეგმავდით შეკრებას.**

— კიევში 27 ივლისს გავფრინდებით, 28-ში კი ტურნირი იწყება. ჩვენს გარდა მასში რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის ნაკრებები მონაწილეობენ უძლიერესი შემადგენლობებით. ამ ტურნირში ჩვენი მონაწილეობის ამბავი გუშინ გადაწყდა, უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ ხრამოვს ტელეფონით შევუთანხმდი.

საბერძნეთში რომ ვერ მივდივართ, ძალიან მწყდება გული. ბერძნებმა საკმაოდ პრესტიჟულ, „აკროპოლისის" ტურნირზე მიგვიწვიეს, მაგრამ ერთი პირობით, თუ ნბა-ს მოთამაშეებით ჩამოხვალთო. ეს ტურნირი აგვისტოს ბოლოს იმართება და ამ დროს თითქმის გამორიცხულია სტეფანიას, ცქიტიშვილისა და ალბათ ფაჩულიას ნაკრებში ჩამოყვანაც... ჰო, მართლა, ფაჩულია 26 ივნისს დრაფტში რომ მიიღებს მონაწილეობას, სამიოდ დღეში თბილისში წამოვა შეკრებაზე.

**— ჩვენი ნაკრებისთვის ოფიციალური მატჩები მომავალ ზაფხულს იწყება და, რა თქმა უნდა, კარგია, თადარიგს აქედანვე რომ იჭერთ. ისე, როგორ შეაფასებთ ფიბა-ევროპის ასეთ მოულოდნელ გადაწყვეტილებას, შედარებით სუსტ გუნდებს 2007 წლამდე ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი რომ წაართვა?**

— ეს მართლაც მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო. სევილიაში გამართულ ფიბა-ს კონგრესზე ბევრი ქვეყანა დარჩა უკმაყოფილო. ჩვენი კალათბურთელების შემხედვარე, ბევრი კი ამბობდა, ძლიერი ნაკრები გყავთო, მაგრამ კოეფიციენტი გვქონდა დაბალი და...

**— გამოდის, უკეთეს შემთხვევაში 2007 წლამდე ვერ გავალთ ევროპის ჩემპიონატზე, ნაკრების უცხოელი თავკაცის, დრაჟენ ბრაიკოვიჩის დანაპირებიც ხომ სწორედ ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა. ესე იგი, ბრაიკოვიჩმა მინიმუმ კიდევ 4 წელი უნდა უხელმძღვანელოს ნაკრებს. საერთო გაჭირვების ფონზე მაღალხელფასიანი უცხოელი მწვრთნელი ფედერაციისთვის ზედმეტი ფუფუნება ხომ არ არის?**

— შესაძლოა, ეგრეც იყოს, მაგრამ ღირს ამის გაკეთება. ჩვენი ნაკრები თითქმის ორი წელია, აღარ არსებობდა და ახლა ახალი მწვრთნელითა და ახალგაზრდებით იკრიბება. ანუ იქმნება ახალი გუნდი, რომელსაც უდიდესი პოტენცია აქვს და თავისი სიძლიერე რომ გამოავლინოს, დრო სჭირდება. ამაში მხოლოდ უცხოელი თუ დაგვეხმარება, მე კი მჯერა ბრაიკოვიჩის, რომელიც არა მარტო ნაკრებს უთავკაცებს ქართულ კალათბურთში მომხდარი ყველა სიახლის უშუალო მონაწილეც იქნება. ასე რომ, შესაძლოა, ერთი მხრივ სასიკეთოც იყოს, კიდევ ორი წელი რომ არ გვექნება ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი. ამ ხნის განმავლობაში ძლიერი, გამართული გუნდის ჩამოყალიბება შეიძლება, რომლითაც უკვე მართლა გაგვიადვილდება 2007 წლის ევროპის შესარჩევში.

**— მომდევნო ორი წლის მანძილზე ძლიერებში ანაცვლებისთვის საკმაოდ ძლიერ გუნდებთან მოგვიწევს ბრძოლა...**

— ჩვენს გარდა B ჯგუფში დაახლოებით ოთხი ძლიერი ნაკრებია, რომლებთანაც მთავარი შეტაკებები გველის. უფრო სწორად, ამათგან — ბელარუსი, მაკედონია, პორტუგალია — სავარაუდოდ ერთ-ერთი მოხვდება ჩვენს ჯგუფში. სულ კი ორი ჯგუფი იქნება და გამარჯვებულები ძლიერთა შორის აღზევდებიან. ჩემი აზრით, ამ ბარიერის დაძლევა არ გაგვიჭირდება.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ასე შორსმიმავალ გეგმებს სათანადო ფინანსური ბაზა ესაჭიროება. აქამდე კი მხოლოდ ის გვესმოდა, შეკრების მოსაწყობი ფული არ გვაქვსო...**

— ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ჩემი ერთ-ერთი პირველი დანაპირები სწორედ ფინანსური გარანტიები იყო. ვერ ვიტყვი, რომ დალხენილად ვართ, მაგრამ სიტყვას არ გადავალთ. წუწუნი ხალხს ყელში, ამოუვიდა რახან ვიკისრეთ ამ საქმის გაძღოლა, ბოლომდე მივიყვანთ. თანაც, სპორტის დეპარტამენტს არც ერთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ გეგმის დაფინანსებაზე არ უთქვამს უარი. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს.

**— დრაჟენ ბრაიკოვიჩი მხოლოდ ნაკრების გაძღოლით არ შემოიფარგლება, მან ქართველ მწვრთნელთათვის ატესტაციების მოწყობის საქმეც ითავა. ამ მხრივ რა ღონისძიებები იგეგმება?**

— ივლისის შუა რიცხვებში ბრაიკოვიჩი თავად ჩაატარებს სემინარებს ქართველი მწვრთნელებისთვის, სამომავლოდ კი გაცილებით მაღალი დონის სპეციალისტების თბილისში ჩამოსვლას უხელმძღვანელებს. უფრო დიდი და ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებასაც ვაპირებთ, თუ ერთი საქმე წარმატებით დავაგვირგვინეთ. რა დასამალია, გეტყვით, რომ ორ მეტად სერიოზულ ფირმასთან თუ ფინანსურ ჯგუფთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სპონსორობის თაობაზე. თუ ყველაფერი მოვაგვარეთ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციასა და ეროვნულ ნაკრებს ძალიან მდიდარი მხარდამჭერი ეყოლება და ალარანაირი პრობლემა აღარ იარსებეს. სამწუხაროდ, მომავალი სპონსორის ვინაობას ვერ გაგიმხელთ. ეს საქმე კიევის ტურნირამდე უნდა გადაწყდეს და ვფიქრობ, დადებითადაც.

**— ეროვნულიდან ჭაბუკთა ნაკრებზე გადავერთოთ. თამაზ ოქრუაშვილისა და დავით უსტიაშვილის შეგირდებს აგვისტოში ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე უწევთ თამაში სლოვაკეთში. ჭაბუკებისთვის თუ გეგმავთ შეკრების მოწყობას?**

— ჭაბუკთა ნაკრების სამი წევრი — გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე ეროვნულ ნაკრებშიც არიან გამოძახებულნი. ისინი ალბათ კიევშიც წაჰყვებიან ნაკრებს, თუმც მთელი გუნდიც კიევის გავლით მიემგზავრება სლოვაკეთს, ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ხომ კიევის ტურნირს ემთხვევა. ჩვენი ჭაბუკები ეროვნული გუნდის ქომაგობის გარდა კიევში ვარჯიშსაც მოასწრებენ.

**— თქვენ ფიბა-ევროპის ქალთა კომიტეტის წევრი ბრძანდებით. ამ გამოებით ჩვენი ქალები რას იხეირებენ?**

— სექტემბერში საქართველოში ფიბა-დან ქალთა კალათბურთის მწვრთნელები ჩამოვლენ და სემინარებს ჩაატარებენ. სავარაუდოდ, მატერიალურ დახმარებასაც გაგვიწევენ — ბურთები, ტრუს-მაისურები, სპორტული ფეხსაცმელი...

**— ფიბა-ევროპასთან მჭიდროდ თანამშრომლობით, არადა ევროპის წამყვანი ქვეყნების ფედერაციები უკვე გამოეყვნენ ამ ორგანიზაციას და ცალკე სტრუქტურა — ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირი (ულებ) დააფუძნეს. საქართველოს ამ საკითხში რა პოზიცია უკავია?**

— ულები მხოლოდ საკლუბო ტურნირებს აწყობს და მათგან მაქსიმალური მოგების ამოღებას ცდილობს. ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ფიბა-ს ეგიდით მოწყობილ ევროპის ჩემპიონატებზე თამაშობენ. ჩვენში საკლუბო დონე, მოგეხსენებათ, ძალიან დაბალია, ამიტომაც არ ვჩქარობთ ულებში გადაბარგებას. ისე, ძალიან ხშირად მოგვდის წერილები ულებ-იდან, ვითანამშრომლოთო.

**— ბოლოს ერთ სიახლეზე გკითხავთ: რატომ გადაწყვიტეთ ეროვნული ჩემპიონატის პარალელურად დუბლიორთა პირველობის მოწყობა?**

— რატომ და, ის ბავშვები, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, კალათბურთზე გული უცრუვდებათ და ფაქტობრივად იკარგებიან. არადა, ზოგიერთი ისეთია, 20 წლის მერე იხსნება და დიდი კალათბურთის თამაში შეუძლია. ამიტომაც ჩემპიონატის წამყვან კლუბები დავავალდებულეთ, დავაკისრეთ, დუბლიორთა გუნდიც გამოიყვანონ. ამ ტურნირში 15-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას.

**ირაკლი პერტაია**



გიორგი მდივანი ფრანგულ ოქროს და კონტრაქტს ელის

# სამდივნოში ოქროს მელიან

წინა კვირას გამცნეთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონობისთვის „პო ორტეზის" 17 წლის ქართველ ფორვარდ გიორგი მდივანს, რომელიც პოელთა დუბლიორების ლიდერია და ძირითადი გუნდის შემადგენლობაში იშვიათად ჩნდება, კლუბთან ახალი, პროფესიული კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა. თუმცა შესაძლოა, „პო ორტეზი" უფრო მალე გახდება საფრანგეთის ჩემპიონი, ვიდრე მდივანს კონტრაქტს გაუფორმებს.

პოელებს ნახევარფინალურ სერიაში დიუნკერკის „გრაველინი" ეჯიბრებოდა, მაგრამ „პო ორტეზმა" ნაადრევად მოითავა საქმე და ახლა ფინალში შარშანდელ ჩემპიონ „ვილერბანს" ელის, რომელსაც ნახევარფინალური ჯახი გაეწელა „ლე მანთან". ვილერბანელებმა გასვლითი მატჩი წააგეს და სერიაში ანგარიში 1:1 გახდა.

პირველი მოგების მერე დიუნკერკელებთან მეორე შეხვედრაში პოელთა საქმეც ჭაკად იყო, მაგრამ მდივნის გუნდმა, რომელიც 63:70 აგებდა ბოლო მეოთხედში, დიდებულად ჩაითამაშა დარჩენილი დრო და დამაჯერებლად, 89:79 გაიმარჯვა.

წინა საპლეიოფო მატჩების დარად მდივანი ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მოედანზე არ გასულა. მოსალოდნელია, რომ ჩვენებურს არც დარჩენილ ფინალურ მატჩებში დაასაქმებენ, მაგრამ თუ „პო ორტეზმა" იჩემპიონა, მდივანსაც ერგება ფრანგული ოქრო, მას ხომ ჩემპიონატის რამდენიმე შეხვედრაში უთამაშია.

„პო ორტეზი" და მდივანი, სავარაუდოდ, ამ დღეებში გააფორმებენ კონტრაქტს და გიორგიც საბოლოოდ ჩამოშორდება პოელთა დუბლიორებს.

**ირაკლი პერტაია**

*აი, 2003 წლის პლეი ოფიც გაილია, რომელიც, სხვათა შორის, რიგიანი გამოდგა, დატვირთული ემოციებით, დრამატიზმით, სიმსუბუქით, სინატიფით, არტისტიზმით, მწუხარებით, კინკლაობით და ყველა სხვა სიკეთით, რაც კალათბურთს, თან ოკეანგაღმურს ახლავს. ჩემპიონიც ღირსეულია — „სან ანტონიო სფურზმა" ბოლო ოთხ პლეი ოფში ერთადერთმა დაამარცხა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" და ტახტიც დამსახურებულად დაიკავა. უფრო სწორად, დაიბრუნა, რაკი „ლეიკერსამდე" ის გახლდათ მეფე. მოულოდნელად ფინალიც კარგი გამოვიდა. საჩემპიონო სერია უდავოდ გაალამაზა შეუპოვარმა და მარცხთან წინასწარ შეუგუებელმა აღმოსავლელმა „ნიუ ჯერსი ნეთსმა". ასე რომ, მგონი, ღირს, ერთხელაც მოვავლოთ თვალი ფინალს და ორიოდ სიტყვა ვთქვათ მის გმირებზე*

# ჰეფიენდური ამბები

## პლეი ოფიც კარგი იყო, ჩემპიონიც კარგია...



**საჩემპიონო სიმაღლეზე „სფურზი" ტიმ დანკანმა და დევიდ რობინსონმა ასწიეს**

### ლიდერი

ამერიკაში მიღებულია სეზონების მოთამაშეებისთვის ჩამორიგება, მაგალითად, აივერსონის სეზონი, შაკის სეზონი, ბარკლის სეზონი, ჰაკიმის სეზონი და ა.შ. ეს სეზონი კი ცალსახად ტიმისა იყო. „სან ანტონიოს" 213-სანტიმეტრიანი თავდამსხმელ-ცენტრი შარშანაც გახდა უძვირფასესი მოთამაშე, მაგრამ ახლა სულ სხვაა. ამ სეზონში მან „სფურზს" მოაგებინა ჯერ რეგულარული ჩემპიონატი, შემდეგ პლეი ოფი, თავად კი ჯერ სეზონის შემდეგ ფინალის უძვირფასესი მოთამაშის პრიზი დაისაკუთრა. ყველა ეს ტიტული, გუნდურიც და პირადულიც დანკანს უკვე ორ-ორი მოჰგროვებია სულ რაღაც ექვსწლიან კარიერაში. ასე რომ, იგი უეჭველად მსხვილი შრიფტით ჩაიწერება დიდი მოთამაშეების სიაში. მანამდე კი ტიმ დანკანი ყოველგვარი შრიფტის, ტიტულისა თუ ციფრული მონაცემების გარეშეც დიდებული მოთამაშეა. ყველა ტიტულატურა მისი ბრწყინვალე თამაშის შედეგია.

ისე, დანკანის თამაშს ნაკლებად ექთმის ბრწყინვალე. მისი გარჯის შესაფასებლად ყველაზე უფრო ზედგამოჭრილია სიტყვა — „სადა". დანკანის აწ უკვე ყოფილი თანაგუნდელი დევიდ რობინსონი ამბობს — „თუ თქვენ ნბა-ში ახალ კერპს ეძებთ, ისეთს, რომელსაც შეუძლია გიჟური ბურთები ჩატენოს, თან ამას თვითკმაყოფილების გამომხატველი ღრიალი მოაყოლოს და ტიმ დანკანი შემოგხვდათ, გვერდი აუარეთ მას, ის თქვენს გემოვნებას ვერ დააკმაყოფილებს. მაგრამ თუ ისეთ მოთამაშეს ეძებთ, რომელიც ყველაფერს სწორად და გონივრულად აკეთებს და საბოლოო მიზნად ხმაურიანი ჩატენვა კი არა, გამარჯვება აქვს, მე ჩემს კანდიდატურად ტიმ დანკანს შემოგთავაზებთ."

„სან ანტონიოს" მეტოქეებს განა დანკანისგან წამოსული ქულების ნიაღვარი აფრთხობთ. მას არასდროს ჩაუგდია ძალიან ბევრი ქულა, რადგან არაა ქულების მკეთებელი მანქანა. ის გონიერი მოთამაშეა და თუ სიტუაცია ითხოვს, პასიც იცის. ამიტომაც უგროვდება მაღალი კაცის კვალობაზე უჩვეულოდ ბევრი შედეგიანი გადაცემა.

დანკანმა კიდევ ბევრი რამ იცის, მაგრამ მისი ერთი ნიჭი უნდა გამოვარჩიოთ — სხვისი ნასროლი ბურთების დაფარების უნარი. მან ფინალის ექვს მატჩში ჯამში 32-ჯერ დაუფარა ნიუჯერსელებს და ფინალების ყველა დროის რეკორდი მოხსნა. გავიხსენოთ, რომ ბოლო შეხვედრაში მან 21 ქულა, 20 მოხსნა, 10 პასი და 8 დაფარება გააკეთა.

სანანტონიოელთა ბედად, დანკანი ჯერ მხოლოდ 27 წლისაა. თანაც ამ პროვინციულ სამხრეთულ ქალაქში თავს მშვენივრად გრძნობს და არსადაც არ აპირებს წასვლას.

### ყოფილი ლიდერი

დევიდ რობინსონი, 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე 14 წელი ერთგულად ემსახურა „სან ანტონიოს" და რაც ნბა-ში შემოდგა თავისი გოლიათური ფეხი, სხვა გუნდის მაისურა არ ჩაუცვამს. თუ არ ჩავთვლით ამერიკის ნაკრებისას, რომლითაც „ადმირალმა" 1992 და 1996 წლებში ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. რობინსონს თვალსაჩინო ადგილი ეკავა ნბა-ელი პროფესიონალების პირველ ოლიმპიურ კრებულში 1992 წლის „ოცნების გუნდში".

ის წლების განმავლობაში თითქმის მარტო მიათრევდა „სფურზს", ხოლო როცა დანკანიც შეუწყვილდა, „ადმირალმა" ლიდერობა მას გაუნაწილა და ეს ორნი ერთად გაუძღვნენ „დეზებს" ჯერ 1999 წლს პირველი ჩემპიონობისკენ, შემდეგ კი აგერ, მეორისკენაც.

თავისი ბოლო მატჩი 37 წლის რობინსონმა ბრწყინვალედ ჩაატარა, 13 ქულასთან ერთად 17 მოხსნაც მიითვალა და კარიერის ბედნიერი დასასრულით ძალიანაც გაიხარა. ყველაფერი ალალია მასზე. ლამაზად დასრულდა დიდი მოთამაშის ლამაზი კარიერა, თავად ეს მოთამაშე კი მალე ალბათ კალათბურთის დიდების დარბაზის წევრიც გახდება.

### მომავალი ლიდერი?

„ნიუ ჯერსი ნეთსის" 30 წლის გამთამაშებელი ჯეისონ კიდი ბუნებით ლიდერია. ის 9 წლის წინ მივიდა ნბა-ში, ამ ხანში სამ გუნდში ითამაშა და ყველგან ლიდერი იყო. კარგადაც უძღვებოდა საქმეს. თქვენც ხედავთ, ორჯერ ზედიზედ ფინალში გაიყვანა მანამდე ერთი უბადრუკი „ნიუ ჯერსი". ბევრი მოთამაშისთვის ფინალში გასვლაც დიდი მიღწევაა, მაგრამ კიდი ამგვარი წარმატებებით ვერ კმაყოფილდება, მას ჩემპიონობა სწადია. „ნიუ ჯერსიში" კი ეს საქმე უკვე ორჯერ ჩავარდა.

ამ ზაფხულს კიდს „ნიუ ჯერსისთან" კონტრაქტი უმთავრდება და შესაძლოა, „სან ანტონიოშიც" ამოყოს თავი. რობინსონის წასვლის შემდეგ „სფურზს" სახელფასო ფონდში იმხელა ფული გამოუთავისუფლდა, კიდის ჯიბეებს ადვილად ამოავსებს. მაგრამ იგი ფულის სუნს როდი მიჰყვება. „მე უკვე მეორედ მომეცარა ხელი. არადა, ძალიან მინდა ჩემპიონობა, მე ამის გამო ვთამაშობ. „ნიუ ჯერსიში" ეს არ გამომივიდა და ახლა შევეცდები, იმ გუნდში მივიდე, რომელშიც მეტი შანსი მექნება" — ამბობს მთელ ლიგაში ერთადერთი თეთრი მოთამაშე, რომელიც ყველაზე ძლიერი ზანგების ტოლად ბურთაობს.

**ირაკლი ფირცხალავა**

## პლეი ოფის ლიდერები

### მექულეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 12 | 385 | 32.1 |
| 2 ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო) | 7 | 222 | 31.7 |
| 3 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 12 | 380 | 31.7 |
| 4 პოლ პირსი (ბოსტონი) | 10 | 271 | 27.1 |
| 5 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 6 | 162 | 27.0 |
| 5 შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 12 | 324 | 27.0 |
| 7 დირკ ნოვიცკი (დალასი) | 17 | 430 | 25.3 |
| 8 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 24 | 593 | 24.7 |
| 9 ტროი ჰადსონი (მინესოტა) | 6 | 141 | 23.5 |
| 10 პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საკრამენტო) | 12 | 51 | 23.1 |
| 14 ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 20 | 402 | 20.1 |
| 19 კენიონ მარტინი (ნიუ ჯერსი) | 20 | 378 | 18.9 |
| 32 ტონი პარკერი (სან ანტონიო) | 24 | 352 | 14.7 |
| 36 რიჩარდ ჯეფერსონი (ნიუ ჯერსი) | 20 | 281 | 14.1 |
| 42 სტივენ ჯექსონი (სან ანტონიო) | 24 | 307 | 12.8 |

### მომხსნელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ჯერმენ ონილი (ინდიანა) | 6 | 105 | 17.5 |
| 2 ბენ ვოლესი (დეტროიტი) | 17 | 277 | 16.3 |
| 3 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 6 | 94 | 15.7 |
| 4 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 24 | 369 | 15.4 |
| 5 შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 12 | 178 | 14.8 |
| 6 დრიუ გუდენი (ორლანდო) | 7 | 89 | 12.7 |
| 7 შონ მარიონი (ფინიქსი) | 6 | 70 | 11.7 |
| 8 დირკ ნოვიცკი (დალასი) | 17 | 196 | 11.5 |
| 9 კენიონ მარტინი (ნიუ ჯერსი) | 20 | 187 | 9.4 |
| 10 კენი ტომასი (ფილადელფია) | 12 | 112 | 9.3 |
| 19 ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 20 | 154 | 7.7 |
| 28 დევიდ რობინსონი (სან ანტონიო) | 23 | 152 | 6.6 |
| 29 რიჩარდ ჯეფერსონი (ნიუ ჯერსი) | 20 | 127 | 6.4 |
| 30 ჯეისონ კოლინზი (ნიუ ჯერსი) | 20 | 125 | 6.3 |

### მეპასეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 გერი პეიტონი (მილუოკი) | 6 | 52 | 8.7 |
| 2 ბაირონ დევისი (ნიუ ორლეანი) | 5 | 42 | 8.4 |
| 3 ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 20 | 163 | 8.2 |
| 4 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 12 | 89 | 7.4 |
| 5 სტივ ნეში (დალასი) | 20 | 145 | 7.3 |
| 12 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 24 | 127 | 5.3 |
| 29 ტონი პარკერი (სან ანტონიო) | 24 | 85 | 3.5 |

### ჩამჭრელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 რონ არტესტი (ინდიანა) | 6 | 15 | 2.50 |
| 2 ბენ ვოლესი (დეტროიტი) | 17 | 42 | 2.47 |
| 3 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 12 | 29 | 2.42 |
| 10 ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 20 | 36 | 1.80 |
| 11 ემანუელ ჯინობილი (სან ანტონიო) | 24 | 41 | 1.71 |

### დამფარებლები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 24 | 79 | 3.29 |
| 2 ბენ ვოლესი (დეტროიტი) | 17 | 52 | 3.06 |
| 3 ჯერმენ ონილი (ინდიანა) | 6 | 18 | 3.00 |
| 4 შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 12 | 34 | 2.83 |
| 10 კენიონ მარტინი (ნიუ ჯერსი) | 20 | 31 | 1.55 |

*პირველი სვეტი — თამაშები; მეორე — რაოდენობის ჯამი — საშუალო*

## NBA PLAY OFF 2003

### აღმოსავლეთი

**პირველი წრე**

| | |
|---|---|
| დეტროიტი (1) | 4 |
| ორლანდო (8) | 3 |
| ფილადელფია (4) | 4 |
| ნიუ ორლეანი (5) | 2 |
| ნიუ ჯერსი (2) | 4 |
| მილუოკი (7) | 2 |
| ინდიანა (3) | 2 |
| ბოსტონი (6) | 4 |

**მეორე წრე**

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 4 |
| ფილადელფია | 2 |
| ნიუ ჯერსი | 4 |
| ბოსტონი | 0 |

**მესამე წრე**

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 0 |
| ნიუ ჯერსი | 4 |

### დასავლეთი

**მესამე წრე**

| | |
|---|---|
| 4 | სან ანტონიო |
| 2 | დალასი |

**მეორე წრე**

| | |
|---|---|
| 4 | სან ანტონიო |
| 2 | ლეიკერსი |
| 3 | საკრამენტო |
| 4 | დალასი |

**პირველი წრე**

| | |
|---|---|
| 4 | სან ანტონიო (1) |
| 2 | ფინიქსი (8) |
| 2 | მინესოტა (4) |
| 4 | ლეიკერსი (5) |
| 4 | საკრამენტო (2) |
| 1 | იუტა (7) |
| 4 | დალასი (3) |
| 3 | პორტლენდი (6) |

**ფინალი**

**ნიუ ჯერსი 2:4 სან ანტონიო**

## რაგბი

# ცაბაძეს შანსი უხორცდება

## ლეონსიო ექიმებმა სამი თვით დააიმედეს



ლევან ცაბაძეს მსოფლიოს თასზე თამაშის შანსი დაუბრუნდა

**გუშინ** საქართველოს ნაკრების მორკინალმა ლევან ცაბაძემ დამაიმედებელი ამბავი გაიგო: „ლეონსიოს" მხრის გაწყვეტილი მყესი შეიძლება 3 თვეში შეუხორცდეს და ბორჯალოსანთა მიმწოლი ძალა ოქტომბერ-ნოემბერში ავსტრალიაში გასამართ მსოფლიოს თასისთვის მწყობრში ჩადგეს.

— ეს-ესაა, ჩემს ქირურგს საფრანგეთში ველაპარაკე. მან ნაოპერაციევი მხრის ამბავი მკითხა, მეც მოვუყევი, რომ ისე ძალიან აღარ მტკივა და ცოტათი ვამოძრავებ. ექიმმა დამაიმედა, თუ სარეაბილიტაციო კურსი ასეთი ტემპით გაგრძელდა, სამ თვეში სათამაშოდ მზად იქნებიო. მეც ეგ მინდა. ოქტომბრისთვის ფორმაში შევალ და მსოფლიოს თასზეც ვითამაშებ — გვითხრა გუშინ გახარებულმა ცაბაძემ.

შეგახსენებთ, რომ „ლეონსიომ" ერთი თვის წინ საზარდულის და მხრის ოპერაცია გაიკეთა და ექიმების ვარაუდით, 6 თვეს ვერ ითამაშებდა. ჯერჯერობით ოპერაციის შემდგომი პერიოდი, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სწრაფად და რაც მთავარია, საიმედოდ მიმდინარეობს.

**ბაჩო სვანიძე**

## ავტორბოლა



ბერნი ეკლსტოუნის (მარცხნივ) მილიონებმა პოლ სტოდარტს იმედი დაუბრუნა

# რუსებისგან გადაგდებულ მინარდის ბერნი ეკლსტოუნმა უშველა

**რუსეთის** უმსხვილეს-უმდიდრესმა კონცერნმა „გაზპრომმა" შარშან ფორმულა 1-ში ფეხის მოკიდება განიზრახა და ჯანკარლო მინარდის გუნდის გენერალური სპონსორი გახდა. რუსთა მიზანი გასაგებია — თავიანთი უმთავრესი ენერგოწყაროს საქვეყნოდ რეკლამირებისთვის უკეთეს საშუალებას სად ნახავდნენ. „მინარდის", ბუნებრივია, სხვა ფინანსური მხარდამჭერებიც ჰყავდა, მაგრამ „სამეფო რბოლების" ერთ-ერთი ყველაზე მწირბიუჯეტიანი საჯინიბოსთვის მეგაზეების სოლიდური შეხიდება ულრუბლო მომავალს ნიშნავდა.

მოკლედ, ორმხრივ ხელსაყრელი გარიგება შედგა და სამი წლის განმავლობაში გადასახდელი ოცი მილიონი დოლარის სანაცვლოდ „გაზპრომმა" იტალიური ბოლიდების ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე, პილოტის თავთან, თავისი ლოგოს მიწებების უფლება მიიღო. ჰოდა, აალებული წარწერით დამშვენებულმა მანქანებმა იმედიანად დაიწყეს ტრასებზე ჯირითი. მაგრამ რუსებს ჩვეული წუწურაქობის გამო უკვე მერამდენედ მოეჭრათ თავი საყორმუღლო სამყაროს წინაშე. პრობლემები გასული წლის ბოლოს დაიწყო, როცა მათ ვალდებულება არ შეასრულეს და საწყისი ცხრა მილიონის მაგივრად „მინარდის" ანგარიშზე მხოლოდ ორი მილიონი გადარიცხეს, მიმდინარე სეზონში კი კონტრაქტის პირობები სულაც ფეხებზე დაიკიდეს. საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა — უკვე ერთი თვეა, რაც ბოლიდებზე „გაზპრომის" ლოგოები გაქრა.

ცხადია, სკანდალი აგორდა. „მინარდის" პრეზიდენტი პოლ სტოდარტი სასამართლოს ძალით აპირებს კუთვნილის მიღებას. ავსტრალიელი ბოსის თქმით, გუნდი წლევანდელ ჩემპიონატს კი ჩაამთავრებს, მაგრამ რუსული ინვესტიციის გარეშე საგაისოდ ყოფნაარყოფნის საკითხი დაუდგება.

ერთ დარტყმას მეორეც მოჰყვა: შარშან გაკოტრებული „ეროუსის" სარეკლამო მილიონები სხვებზე უნდა გადანაწილებულიყო და გარკვეული წილი „მინარდისაც" უნდა რგებოდა, თუმცა ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა. მაშინ კი აევსო სტოდარტს მოთმინების ფიალა და არც ისე კაცურ ნაბიჯზე წავიდა — საყორმუღლო შავი ბიზნესის მაქინაციების გამოაშკარავებით დაიმუქრა. ძნელი სათქმელია, მუქარამ გაჭრა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ მან მოულოდნელი და მეტად სასიამოვნო პასუხი მიიღო: „მინარდის" აქციების ნაწილი, გუნდის გადარჩენის მიზნით, სტოდარტისგან შეიძინა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბერნი ეკლსტოუნმა. ფორმულა 1-ის 72 წლის გურუმ საკუთარი ჯიბიდან ხუთი მილიონი დოლარი გაიღო. დიდ ბრიტანეთში სიმდიდრით მესამე ადამიანისთვის, ვისი ავლადიდებაც ოთხ მილიარდს შეადგენს, ეს თანხა ხურდა ფულია, მორევისკენ დაქანებული მინარდელებისთვის კი — გადამრჩენი ხავსი.

სტოდარტმა, მინარდიმ და „მინარდიმ" შვებით ამოისუნთქეს. საკითხავია, დიდი ხნით?

**გია ახალაძე**

## ჩოგბურთი

# წინასაუიმბლდონო ამბავ-ხაბარი



ანდრე აგასი



ლეიტონ ჰიუიტი

## ეს ინგლისელები ჩოგბურთშიც სხვანაირად თვლიან

იმის მიუხედავად, რომ 12-თვიან რეიტინგსიაში აგასისმომდევნო, მეორე საფეხური უპყრია, უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი წლევანდელ უიმბლდონობაზე მაინც სეფექოგანს გააქნევს.

ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ — განსხვავებით ყველა დანარჩენი ტურნირისგან — უიმბლდონზე „უმცროსუფროსობა" 12-თვიანი რეიტინგსიის მონაცემთა გარდა მეჩოგნეების ბოლოდროინდელი საბალახსაფრო მონაგარითაც განისაზღვრება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მეჩოგნეთა სარეიტინგო ქულებს მათ მიერ უკანასკნელ წლებში საბალახსაფრო ტურნირებზე მომკილი ქულებიც ემატება.

აი, სწორედ ამგვარმა არითმეტიკამ განაპირობა ის, რომ საამდროოდ აგასიზე დაბალი რეიტინგის მქონე ჰიუიტი უიმბლდონზე მაინც პირველ ნომრად იქნება განთესილი. 33 წლის რვაგზის სლემტიტულოსან აგასისთან შედარებით ხომ ის გაცილებით უმჯობეს საბალახსაფრო წარსულს მოიძყვს — სხვა თუ არაფერი, წინა სამი წლის განმავლობაში მას სტელა არტუას ზლაპრულ კორტებზე არავინ გაუხარებია.

ერთი ეგ არის, რომ აგასისთვის პირველი სარეიტინგსიო ადგილის დათმობა ამჯერად სწორედ სტელა არტუაზე ჩაფლავების გამო მოუხდა...

ჰო, მართლა — ლეგენდარული არმენოამერიკელი, ვინაც ქუინზკლაბში ნახევარფინალს უწია და იქ მომავალი ჩემპიონის, ენდი როდიკისგან მოიდრიკა, აქრის უმხცოვანესი მეჩოგნე გახდა. 1973 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც რომ ჩოგბურთში რეიტინგსიები დგინდება, ეგეთი ასაკოვანი კაცი სიის კენწეროში ჯერ არასოდეს მდგარა...

სხვაფრივ — უნიკალური უიმბლდონური სისტემით წლეულს ყველაზე კაცურად ბრიტანელთა მთავარჯილა ტიმ ჰენმანი იხეირებს. ის ტურნირის ოთხგზის ნახევარფინალისტია და, მართალია, 12-თვიან მგორავ ნუსხაში მხოლოდ 29-ე ადგილზე დგას, მაგრამ საბალახსაფრო მიღწევათა გათვალისწინებით იქ მაინც მე-10 ნომრად განთესილი იჩოგნავებს.

ცხადია, ამგვარი კუნძულური უცნაურობა კუნძულსგარე მილეთის აღშფოთებას გამოიწვევს, თუმცა თავად ლეიტონ ჰიუიტს არც ერთი ედარდება და არც მეორე.

„პირველი ნომერი, მეორე ნომერი, თავში, ბოლოში... არა, ძმაო, ეგეთები მე არ მადარდებს" — ამბობს ის.

ჰიუიტისა და აგასის შემდეგ წლევანდელი როლანგაროსოსანი ხუან კარლოს ფერერო და ახლახან ნაბალახტიტულარნი — როჯერ ფედერერი და ენდი როდიკი განითესებიან.

მეექვსე შარშანდელი ფინალისტი, არმენოგაუჩო დავიდ ნალბანდიანი იქნება. მას თვისტომი გილერმო კორია, ჰოლანდიელი სხენგ შალკენი და გერმანელი რაინერ შიუტლერი უნდა მოჰყვნენ.

ქალთა მხარეზე ყველაფერი უცვლელად იქნება — უიმბლდონური არითმეტიკა აქ ზოგადქალურს ემთხვევა და პირველ-მეოთხე შავლებს, სერენა და ვინ-უს უილიამსებს შორის ბელგიური სუპერგოგოცუნები, წლევანდელი როლანგაროსობის ფინალისტები, ძლეული კიმ კლაისტერსი და მძლეველი ჟუსტინ ენენ-არდენი იბუქნავებენ.

### ტრავმული ეჯი...

წლევანდელ უიმბლდონობას ერთბაშად რამდენიმე სახელიანი მეჩოგნე გამოაკლდება. ზედიზედ მეორე წელია, თავის სათულფე სლემტურნირზე ვერ ჩავა ხორვატი გორან ივანიშევიჩი, ტურნირის 2001 წლის ჩემპიონი და სამგზის ფინალისტი, ვინაც ამ კვირაში თვისტომ ანჩიჩთან ღლაბუცობისას მუხლი დაიშავა და ჩოგნაობის ნაცვლად ახლა სადასტაქროში უნდა გაიშოტოს.

შეგახსენებთ, რომ შარშან მას ტიტულის დაცვა მხრის ტრავმამ არ დაანება.

არადა, ბოლო დრომდე ის რიგიან ფორმაში იყო და იმედოვნებდა, საყვარელ ალაგებში კიდევ ერთხელ გაიშტრიალებდა.

ფეხი აწუხებს და ამის გამო კვლავ შინ დარჩენა მოუხდება 1992 წლის ფინალისტ მონიკა სელეშს. მტკივანმა ფეხმა მონიკა როლანგაროსობაზეც დაალალატა, სადაც ის პირველსავე წრეში ნადია პეტროვამ მოთელა. 9-გზის სლემტიტულოსანმა კიდევ ერთხელ გარისკვა დურაქობად ჩათვალა და სეფებალახობის ცქერა ტელეეკრანიდან არჩია.

თავისი ბარაქიანი ზურგი მოისატკივა და მის მშვენებათა ხილვას დახარბებული ხვადები პირში ჩოგანგამოუვლებნი დატოვა ანა კურნიკოვამ. რუსი სექსმეჩოგნე ამჟამად მსოფლიოში მხოლოდ 77-ეა და წლეულს ზურგ-ფეხის ტრავმათა გამო ისე დაუძლურებული გახლავთ, მხოლოდ ერთ მოგებას დაიკვეხს.

არადა, 22 წლის კურნიკოვას უტიტულო კარიერის მთავარმომენტი სწორედ უიმბლდონზე მოდის — 1997 წელს მან იქაურ ნახევარფინალში გასვლა მოახერხა, რისი დარიც არც მანამდე და არც მერე არაფერი გაუკეთებია.

მხარი ჯერ არ მომძლავრებია 25 წლის გერმანელ ტომი ჰაასს, რომელიც ამ სეზონში კორტზე საერთოდ არ გამოჩენილა.

და კიდევ — ტურნირს დააკლდებიან ავსტრალიის შარშანდელი ღია პირველობის მოულოდნელი გამარჯვებული, შვედი ტომას იოჰანსონი (ვინაც ეს-ესაა ნაოპერაციევი მუხლი მოიშუშა) და მისი თვისტომი, 2000 წლის როლანგაროსობის ფინალისტი მაგნუს ნორმანი. ზორბა ნორმანს ტრავმირებული ზურგი ერჩის.

აღარაფერს ვამბობთ მსოფლიოს ოდინდელი პირველოსნის, მარსელო რიოსის არყოფნაზე, რაკილა უხიაგი ჩილელი საბალახსაფრო ტურნირებზე საერთოდ არ გამოდის ხოლმე.

**ლევან ძელაურაძე**





# კოხტა გოგო პენის კლუბი

ეს ქერათმიანი სექსგამალაზიანებელი ობიექტი 27 წლისაა, პენი ლანკასტერი ჰქვიან და ჩვენი ყურადღების არეში მხოლოდ იმიტომ არ მოქცეულა, რომ გადასარევი გრძელი ფეხები და ჩასახუტებელი მძიმე ძუძუები აქვს.

არა, ძმებო, არა, თუმცა თუნდაც მაგის გამო მოქცეულიყო, ვინძლო, ეგ ამბავი არც არავის გაეპროტესტებინა.

საქმე კი ის გახლავთ, რომ პენი იმ დღეს ტიმ ჰენმანისა და მავანი ტელეწამყვანის, ვინმე ჯონათან როსის საჯამბაზო მატჩს მებურთე გოგოდ მოემსახურა და ჭომაგთა თუ ფოტოგრაფთა მასშტაბური აჩურუშებაც გამოიწვია.

ეგ იყო და ეგ.

სერიოზულ კორტებზე ეგეთ რამეს არავინ განახებს. და ალბათ ძალიანაც კარგი — თორემ ამის შემხედვარეს ან ჩოგბურთი ვილას რად უნდა და ან რამე.

ამიტომაც:

ხშირად დავაკავებინოთ პენის... ბურთი!

# ბევრი სისხლი კრანში

## სერბეთ-ჩერნიგორია – ხორვატია: მარადიული ომი



**სლოვენიის** კრანში გამართულ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური პაექრობისას დიდი ბრძოლები იყო წყალში, წყალქვეშ და ხმელეთზეც, რაც მერე ქუჩებში დიდი არეულობით გაგრძელდა. წყალში სერბეთ-ჩერნიგორია და ხორვატია დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს, ხმელეთზე კი ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა ხორვატებმა, ზაგრების „დინამოს" ფეხბურთელთა გულშემატკივრებმა ატეხეს.

ამის შედეგად დარჩა აუზის გაპარტახებული ტრიბუნები, ქუჩებში დალეწილი ვიტრინები და თავპირდამტვრეული მაყურებელი, მათ შორის სერბეთის თავდაცვის მინისტრი, ყოფილი წყალბურთელი ბორის ტადიჩი...

წყალბურთელთა მატჩები, ჩვეულებრივ, წყალში თუ წყალქვეშ დიდი ბრძოლებით, ტრიბუნები კი მშვიდობიანი მაყურებლით გამოირჩევა, მაგრამ გამონაკლისები აქაც ხდება.

ამ სახეობაში ერთ დროს დიდი ვნებათაღელვით გამოირჩეოდა ხოლმე უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდების შეხვედრები. ამ მხრივ ისტორიული იყო 1956 წელს მელბურნის ოლიმპიური თამაშები. მაშინ ამ ორი გუნდის წარმომადგენლები ნახევარფინალში ეძგერნენ ერთმანეთს და ნამდვილი ხელჩართული, სისხლისმღვრელი ბრძოლა გამართეს. ეს იყო საბჭოთა ტანკებით უნგრეთის დიდი შფოთიანობის ჩახშობის გამოძახილი.

ამბობენ, ის თამაში კი არა, გლადიატორთა ბრძოლა იყოო. როგორც თვითმხილველნი იხსენებენ, აუზი სისხლით შეღებილა და როცა ანგარიში 4:0 იყო უნგრელთა სასარგებლოდ, მსაჯებმა ბრძოლა შეწყვიტეს და გამარჯვებაც მათ მიაკუთვნეს, საბჭოელები კი აუზიდან პოლიციელთა დაცვით გამოვიდნენ.

ახლა, სლოვენიური ომიდან სერბები, რაკი გული იმთავითვე ცუდს უგრძნობდათ, შინისკენ გზაზე ავტობუსით ხორვატიის საზღვრის გადაკვეთას მოერიდნენ და სამთავრობო თვითმფრინავით გადაფრინდნენ. მანამდე, ასპარეზობის დაწყებამდე ხორვატები ზაგრებიდან კრანამდე, რაკი საათნახევრის სავალზე იყვნენ, დიდი ლაშქრით დაიძრნენ. აუზის ტრიბუნები რომ გაიძეძგა, ისინი ავიდნენ მახლობელი სახლების სახურავებზე და ხეებზეც, საიდანაც ღია აუზში გამართულ თამაშს თვალს ადევნებდნენ. უმცირესობაში დარჩენილი სერბები უხიფათობის მიზნით პრეს-ლოჟაში მოკალათდნენ.

წყალში ძალზე უშელავათო ბრძოლა იყო, მაგრამ მაინც კორექტულად მიმდინარეობდა. ამის საპირისპიროდ ტრიბუნები ბორგავდნენ და მათთან ერთად სახურავებზე და ხეებზე შეკალათებული შფოთისთავებიც.

დიდი ხიფათი პირველად ჟურნალისტებმა იგრძნეს და ბევრმა მათგანმა იქაურობა შეხვედრის დასრულებამდე დატოვა. თუმცა ზოგიერთი ამ ევაკუაციისას მაინც დაშავდა. მერე, თამაში რომ დამთავრდა, ნამდვილი ომიც დაიწყო. აუზში ცვიოდა ტრიბუნებიდან აყრილი პლასტმასის სკამები, ქვები და ყველაფერი, რაც ხელში ხვდებოდათ. სამწუხაროდ, მათ ხელში გულშემატკივრებიც მოხვდნენ, რომლებიც იმ საგნებთან ერთად ტრიბუნებიდან კუნძებივით გადმოყარეს.

დაშავებულთა შორის აღმოჩნდა შეჯიბრების ერთ-ერთი მსაჯი — სლოვაკი ვლასტიმილ კრატოხვილი.

ამ ვაი-უშველებლის მერე, ცხადია, ასპარეზობის საზეიმო დახურვისთვის და დაჯილდოების ცერემონიალისთვის აღარავის ეცალა.

არეულობა ქუჩებშიც გაგრძელდა, სადაც ზოგი გადარეული ვაიგულშემატკივარი ლამის დედიშობილა, წყალბურთელის საცურაო კოსტიუმითა და ქუდით დაშლიგინობდა...

ყოველივე ამის მერე თუ ვინმეს თავად შეჯიბრების შედეგი აინტერესებს, ვიტყვით, რომ სერბებმა, რომლებიც მთელი შეხვედრისას მდევრების როლში იყვნენ, დამატებით დროში იმარჯვეს 9:8 (2:3, 1:0, 3:4, 2:1, 1:0, 0:0) და მესამედ მოიპოვეს ჩემპიონობა. მესამე ადგილზე კი რუსთა ძლევით უნგრელები გავიდნენ, რომლებმაც დიდ არეულობას დროზე გაასწრეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**









ცურვა

# რუსული ბრასის კლასი

იყო დრო, საბჭოთა კავშირის მოცურავეთათვის ბრასი საფირმო სახეობა გახლდათ. ქალებიცა და ვაჟებიც სწორედ ამ სტილით ცურვაში ეცილებოდნენ ერთმანეთს მსოფლიოს რეკორდებს. მერე, როცა საბჭოეთი ისტორიას ჩაბარდა, მის მემკვიდრეთა ოდინდელი მიღწევებიც გაფერმკრთალდა. თუმცა, არც ისე დაჩაჩანაკებულან, რომ ყველაფერი დაეკარგათ. ყოველ შემთხვევაში, 100 მეტრზე ბრასით ცურვაში მსოფლიოს რეკორდი რუს რომან სლუდნოვს ეკუთვნის, შაბათიდან კი 200-მეტრიან დისტანციაზე ასეთი შედეგის მფლობელი მისივე თანაგუნდელი დმიტრი კომორნიკოვიც გახდა, რომელმაც რუსებს მრავალი წლის წინ დაკარგული მიღწევა დაუბრუნა.



დმიტრი კომორნიკოვი

კომორნიკოვმა იაპონელი კოსუკე კიტაჯიმას შარშანდელი მსოფლიოს რეკორდი (2.09,97) ერთბაშად 45 მეასედი წამით გააუმჯობესა — 2.09,52.

ეს მოხდა ბარსელონაში გამართული საერთაშორისო ტურნირის საზაფხულო ეტაპზე, რომელსაც ჰქვია MARE NOSTRUM.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურნირის საპრიზო ფონდი საკმაოდ დიდია და თანხასთან ერთად სხვა პრიზებსაც ითვალისწინებს, მოცურავეთა უმრავლესობას მაინც მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატი უტრიალებს თავში. ამით აიხსნება, რომ ბარსელონის ტურნირზე მოცურავეებს მაინცდამაინც კარგი შედეგები არ უჩვენებიათ. თვით კომორნიკოვიც კი არ იყო განწყობილი მსოფლიოს რეკორდზე საიერიშოდ.

„ვიგრძენი, რომ დისტანციის პირველი ნახევარი საკმაოდ იოლად, ძალდაუტანებლად გავცურე. ჰოდა, გადავწყვიტე, ტემპი აღარც მეორე ნახევარში დამეგდოთ — თქვა კომორნიკოვმა. მანვე გაიმარჯვა 100 მეტრიან დისტანციაზეც და ახლა რუსთა გუნდის უფროსებისთვის საკითხავი ისაა, შეძლებს თუ ვერა კომორნიკოვი ფორმის შენარჩუნებას მსოფლიოს ჩემპიონატამდე, რომელიც ერთი თვის თავზე იქვე, ბარსელონაში გაიმართება.

რაც შეეხება ბრასით 100 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენ რომან სლუდნოვს, მას ბარსელონაში არ უასპარეზია.

სხვათა შორის, იგი ამ გაზაფხულზე გუნდში ვერ მოხვდა და რეაბილიტაცია სწორედ ბარსელონაში სურდა, მაგრამ, ეტყობა, იგი ვერც ახლა მოემზადა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**მსოფლიოს რეკორდები** ვაჟები. ბრასი. 200 მ

| | | | |
|---|---|---|---|
| 2.13,34 | ვიქტორ დევისი | კანადა | 3.08.1984 |
| 2.12,90 | მაიკ ბეროუმენი | ამერიკა | 3.08.1989 |
| 2.12,90 | ნიკ ჯილინგემი | ბრიტანეთი | 18.08.1989 |
| 2.12,89 | მაიკ ბეროუმენი | ამერიკა | 20.08.1989 |
| 2.11,53 | მაიკ ბეროუმენი | ამერიკა | 20.07.1990 |
| 2.11,23 | მაიკ ბეროუმენი | ამერიკა | 11.01.1991 |
| 2.10,60 | მაიკ ბეროუმენი | ამერიკა | 13.08.1991 |
| 2.10,16 | მაიკ ბეროუმენი | ამერიკა | 29.07.1992 |
| 2.09,97 | კოსუკე კიტაჯიმა | იაპონია | 02.10.2002 |
| 2.09,52 | დმიტრი კომორნიკოვი | რუსეთი | 14.06.2003 |

# დევიდ-პოშიანი

ცხადია, იცანით, ესენი დევიდ ბექჰემი და მისი ცოლი ვიქტორია „პოშ“ ადამსი არიან. შორ გზას ადგანან. ბექჰემს სარეკლამო ვალდებულებების გამო ტოკიოში უწევს ჩასვლა და ცოლიც თან მიჰყავს. ხოლო საით გასწევენ დევიდი და ვიქტორია ტოკიოდან, „სარბიელის“ პირველ გვერდზე უკვე ამოიკითხავდით.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS კენებანკპორტიდან

# აი, რამხელა

თევზაობა უძველესი სპორტია, ბუშიანთ ნავს კი „ფიდელითი“ ჰქვია. მეინის სანაპიროზე, კენებანკპორტის ახლოს მამა ბუში აგე, რამოდენა თევზით იწონებს თავს, შვილი ბუში კი თავის ხუთდღიან შვებულებას მამასთან ერთად ატარებს. თევზი იქით იყოს და, ვინ გაიგებს, რაგვარი პოლიტიკური თევზების დაჭერას ასწავლის მამა შვილს.



REUTERS ლუბლიანიდან

# სიცილ-ტირილი

ლუბლიანაში წყალბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. აი, ასე ხარობდნენ რუსის გოგოშკები, რომლებმაც ბრინჯაოს მედლები მოუგეს ჰოლანდიელებს. და ნახეთ, როგორ მოთქვამენ დორა კისტელეკი (მარცხნივ) და აგნეს პრიმაში, უნგრელები, რომლებმაც ოქროს მედლები დაკარგეს.



REUTERS ლუბლიანიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გიზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge